# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 30 მარტი, 2010 წელი.

№58 (6424)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## სოხუმის თეატრი დაიშალა?!.

3



დიმა ჯაიანს არტისტობაც „ჩამოართვეს?!“

## რატომ არის ქართული წამალი უფრო ძვირი საქართველოში, ვიდრე სომხეთში?

2



## „სახალხო სასამართლო“ ახალ ეტაპზე გადავიდა

2

## აფხაზეთის მომავალი წლები

8

სამხედრო სიძლიერის განმტკიცებაში საქართველოს და ბალტიის ქვეყნებს პენტაგონი დაეხმარება

## „დიდი მადლობა - პატრულს!“...



ადვოკატი კობა სოხაძე თავად დასაცავი გახდა!

4

## „რუსეთ-თურქეთის სტრატეგიული დაახლოება საქართველოსთვის ძალიან სახიფათოა“

3

## „სიკვდილის პირას ვარ და არავინ მეხმარება, გასაყიდიც არაფერი დამრჩა“...

6



## საქართველოს ნაწილი მოსკოვში

5

ანა – ვსესვიატსკოეში

## დავზოგოთ ელექტროენერგია... დენის გამოურთავად

6



◎ ინფორმაცია

## მიხეილ სააკაშვილი მოსკოვის მეტროსადგურებში დაღუპულთა ოჯახებს სამძიმარს უცხადებს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მოსკოვის მეტროსადგურებში მომხდარი აფეთქებების შედეგად დაღუპულთა ოჯახებს სამძიმარს უცხადებს.

ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა.

— პრეზიდენტი მწუხარებას გამოთქვამს მოსკოვში, მეტროპოლიტენში მომხდარი ტერორისტული აქტის გამო და კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ დღევანდელმა დღემ ნათლად დაგვანახვა, რომ ტერორიზმი მსოფლიო პრობლემაა. ამასთან, იგი უერთდება დილით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომელმაც ტერორიზმი კიდევ ერთხელ დაგმო, — განაცხადა მანჯგალაძემ.



მისივე თქმით, პრეზიდენტი ტერორისტული აქტების განხორციელებას ნებისმიერ ქვეყანაში გმობს, მით უმეტეს მაშინ, როცა მას მშვიდობიანი მოსახლეობა ეწირება.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ პროექტი

# „სახალხო სასამართლო“ ახალ ეტაპზე გადავიდა

**2009 წლის 6 ნოემბერს სასტუმრო „რადისონში“ გაიმართა პროექტ „სახალხო სასამართლოს“ ოფიციალური პრეზენტაცია. პროექტი ითვალისწინებს ხალხის აქტიურ მონაწილეობას ხელისუფლების გასამართლების პროცესში. დღემდე მიმდინარეობდა პროექტის სრულყოფაზე მუშაობა. გუშინ კი „სახალხო სასამართლოს“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ორგანიზატორებმა საზოგადოებას პირველი ეტაპის დასრულების შესახებ აუწყეს.**

— „სახალხო სასამართლომ“ „საზოგადოებრივ საბჭოსთან“ ერთად ჩამოყალიბების დღიდან ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ რთული გზა გაიარა. უმოკლეს დროში შექმნილი და რატიფიცირებულია „სახალხო სასამართლოსა“ და „საზოგადოებრივი საბჭოს“ წესდებები, „სახალხო სასამართლოს“ რეგლამენტი, დასრულებულია მუშაობა საჩივრის ფორმაზე და მისი მიღების პროცედურაზე, — განაცხადეს პრესკონფერენციაზე.



თავად პროექტს ისეთი ფორმატი აქვს, რომ ის შეიცავს შოუს ელემენტებს, ამიტომ საჭიროა მისი ტელევიზიით გადაცემა, რათა საზოგადოებამ სწორად და ცხადად გაიგოს პროექტის მიზანი, დანიშნულება და საჭიროება.

თავიდან „სახალხო სასამართლო“ ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში უნდა გასულიყო, მაგრამ ეს მხოლოდ იდეის დონეზე გახმიანდა. ამის გარდა, ტელევიზიით ასეთი მასშტაბური პროექტის გადაცემა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. იდეის ავტორების განცხადებით, თანხის შეგროვებას დრო სჭირდება, საზოგადოებრივი მაუწყებელი და მეორე არხი კი, სავარაუდოდ, უარს იტყვის. იმის მიუხედავად, რომ მათი პირდაპირი მოვალეობაა, ემსახურონ საზოგადოებას და გაითვალისწინონ მათი ინტერესები, ამიტომ ნანა დევდარიანის ხელმძღვანელობით დაარსდა „სახალხო სასამართლოს“ ფონდი, რომელიც შექმნის ფინანსურ ბაზას „სახალხო სასამართლოს“ ფუნქციონირებისა და პროცესის — „ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას“ სატელევიზიო ტრანსლირებისათვის.

**ნანა დევდარიანი, „სახალხო სასამართლოს ფონდის“ ხელმძღვანელი:** დაფინანსების წყაროების შესახებ ინფორმაცია მაქსიმალურად გამჭვირვალე და საჯაროა, თუმცა ქვეყანაში სამართლიანობის სერიოზული დეფიციტის პირობებში ძალიან ბევრს ეშინია იყოს „სახალხო სასამართლოს“ მხარდამჭერი. მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვადასხვა ორგანიზაციასთან და კერძო პირთან, მაგრამ ხალხის მონაწილეობა ყველაზე მნიშვნელოვანია.

**მინდია უგრეხელიძე, მოსამართლე, „სახალხო სასამართლოს“ ერთ-ერთი ორგანიზატორი:** როგორც თქვენთვის ცნობილია, „სახალხო სასამართლოს“ ჩამოყალიბება განაპირობა ხალხის ბუნებრივმა მოთხოვნამ, იცხოვროს ჭეშმარიტად სამართლიან და დემოკრატიულ სახელმწიფოში. დღევანდელ რეალობაში კი საზოგადოებას ეჭვი ეპარება ხელისუფლების მოქმედებათა მართებულობაში. დემოკრატია კი ხალხს აძლევს უფლებას, პასუხი მიიღოს დაგროვილ კითხვებზე. სწორედ ამას ემსახურება „სახალხო სასამართლოს“ შექმნის იდეა, მისი მთავარი მიზანია ხალხს დაუბრუნოს სამართლიანობის შეგრძნება.

**შიო არსენაშვილი, „სახალხო სასამართლოს“ ხელმძღვანელი:** „სახალხო სასამართლო“ მზად არის თავისი მუშაობის შემდეგ ეტაპზე გადავიდეს. პროცესის გადაღება-დამზადებასა და შემდგომი ტრანსლირების შეთავაზებით, ჩვენ გადავწყვიტეთ გამოვაცხადოთ ტენდერი.

პარალელურად გვინდა ღია წერილით მივმართოთ საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომლის დანიშნულება ხალხის ინტერესების სამსახურია, მაგრამ ამჟამად ტელეარხთა უმეტესობის მსგავსად ხელისუფლება აკონტროლებს.

ჩვენ მაინც ვცდით, რადგან იმედს ვიტოვებთ, რომ არჩევნების წინ, ხელისუფლება სწორად გაანალიზებს შექმნილ ვითარებაში „სახალხო სასამართლოს“ მიერ მიმართული პროცესის საზოგადოებრივი არხით გაშუქების მნიშვნელობას. ეს ხელსაყრელი შემთხვევაა, რომელიც როგორც საქართველოს მოსახლეობის, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში ხელისუფლების დემოკრატიულობის მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აამაღლებს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ პრესკონფერენციას მხოლოდ ერთი ტელევიზია და რაც არ უნდა გაგიკვირდეთ — „რუსთავი-2“ ესწრებოდა, პროექტის ავტორებს დიდი იმედი არ აქვთ, მაგრამ დარწმუნებით ამბობენ, რომ „სახალხო სასამართლო“ აუცილებლად შედგება.

**ანა წიწილაშვილი**

◎ ბრიფინგი

# რატომ არის ქართული წამალი უფრო ძვირი საქართველოში, ვიდრე სომხეთში?

**საქართველოს ფარმაცევტულ ბაზართან დაკავშირებით დიდი ხანია საზოგადოებას ძალიან ბევრი კითხვა აწუხებს. მეტიც, ამ პრობლემით რამდენიმე თვის წინათ პრეზიდენტიც კი დაინტერესდა, რომელმაც ეს თემა მაშინ პიარისთვის კარგად გამოიყენა. ამის შემდეგ გაჩნდა იმედი იმისა, რომ ვინაიდან სახელისუფლებო დონეზე აღიარეს ფარმაცევტულ ბაზარზე მონოპოლისტთა არსებობა, რეგულაციისკენ კონკრეტული ნაბიჯიც გადაიდგმებოდა, თუმცა არა.**

ბაზარზე ახალი მოთამაშის „ფარმაცენტრის“ გამოჩენის შემდეგ, რომელის უკან, როგორც ამბობენ, ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი დგას, ქართულმა კომპანიებმა 500-მდე მედიკამენტზე, ერთდროულად, ერთი და იგივე დოზით დაწიეს ფასი და ეს საკანონმდებლო ცვლილებებით ახსნეს.

სამწუხარო ის არის, რომ ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზესამ მსხვილ მწარმოებელ კომპანიას: „ავერსს“, „პე-ეს-პესა“ და „ჯი-პი-სის“ შორის კონკურენცია თითქმის არ არის, ხოლო რამდენად შეესაბამება მათი ფასები რეალობას, ამის გამრკვევი და მომწესრიგებელი ანტიმონოპოლიური სამსახურიც არ არსებობს.

ვინაიდან, პრობლემა პრობლემად რჩება, რომელსაც პოლიტიკური პარტიები ხშირად წინასაარჩევნო პიარისთვის იყენებენ ხოლმე, **„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციამ“ (აფბა)** ფარმაცევტულ ბაზარზე კვლევის დაწყების შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. „აფბას“ ინიციატივას, მართლაც, დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა ენიჭება, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა ოფიციალური სტატისტიკით ქვეყანაში მილიონზე მეტი ადამიანი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, ხოლო 800 ათასი პენსიონერის შემოსავლის ძირითადი ნაწილი მედიკამენტებზე იხარჯება. **„აფბას“ ინფორმაციით, „ავერსი“ თავის წარმოებულ წამლებს სომხეთში 10-50 პროცენტით უფრო იაფად ყიდის, ვიდრე საქართველოში, მაგალითად, „დიკლოფეროლს“. თუ კვლევის შედეგად მსგავსი ფაქტები დადასტურდება, ეს სერიოზულ აჟიოტაჟს გამოიწვევს.**



თუმცა ახალგაზრდა ბიზნესმენები საკმაოდ ვრცლად და უფრო შინაარსიანად გეგმავენ ბაზრის კვლევას, რომელშიც 4-6 თვის განმავლობაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ასოციაციის წევრები, ასევე ექსპერტთა ჯგუფები.

კვლევა შეეხება ქართული ფარმაცევტული ბაზრის მონაწილე კომპანიების წილებს, იმას, თუ რამდენად კონტროლდება მედიკამენტების უსაფრთხოების საკითხი და როგორ ხდება ახალი დასახელების პრეპარატების რეგისტრაციის პრაქტიკა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კითხვა — როგორ, რა ნორმების მიხედვით აწესებენ ფასებს, რამდენად ხდება კარტელური გარიგება და მოგების რა მარჟაზე მუშაობენ ფარმაცევტული კომპანიები, მედიკამენტების წარმოების ადგილობრივი ბაზრის რა წილს ფლობენ (როგორც ცნობილია, ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმებამდე, ბაზრის მხოლოდ 65 პროცენტის მფლობელები იყვნენ ქართული კომპანიები, ხოლო დღეს მათი წილი 85 პროცენტს შეადგენს.ძ?

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია პაციენტის, სამედიცინო პერსონალისა და ფარმაცევტული კომპანიების ურთიერთობის საკითხი, რადგან არსებობს ეჭვი, რომ ამა თუ იმ პრეპარატის გასაღების მიზნით, პაციენტისთვის არასაჭირო, ან ზედმეტი მკურნალობა ინიშნება ხოლმე.

ძალიან გრძელია იმ კითხვათა ნუსხა, რომელიც კორუფციულ გარიგებებს პირდაპირ უკავშირდება, თუმცა არარსებული არგუმენტებისა და სათანადო დოკუმენტაციის მოპოვების გარეშე ეს მხოლოდ დაუსაბუთებელი ბრალდებებია.

არ ვიცი, რამდენად შეძლებენ ამ, ასე ვთქვათ, „გლობალური“ პრობლემისთვის თავის მოზმას ახალგაზრდა ინიციატორები, თუმცა ეს ის კითხვებია, აქამდეც რომ აწუხებდა საზოგადოებას, მაგრამ პასუხი არავინ გასცა.

კვლევის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაზე ადრესატებმა პრეტენზია რომ არ გამოთქვან შემდეგ, „აფბა“ ამთავითვე სთავაზობს თანამშრომლობას ფარმაცევტულ კომპანიებს.

და არც თუ ნაკლებმნიშვნელოვანი პრობლემა — ფარმაცევტული კომპანიებისა და სადაზღვევო კომპანიების ურთიერთობის საკითხი. მართლაც, რამდენად არის ეს ურთიერთობა ჯანმრთელობის დაზღვევის ხარისხზე ორიენტირებული? რადგან, როგორც ვიცით, „ავერსი“ ბიზნესის ფართო ციკლს ფლობს: მედიკამენტების იმპორტის, წარმოებასა და რეალიზაციასთან ერთად სადაზღვევო ბიზნესს და, ასევე, კლინიკების ფლობისა და მართვის უფლებას. ახალგაზრდა ბიზნესმენები ეხმიანებიან საზოგადოების ინტერესს და შეეცდებიან, პასუხი გასცენ კითხვებს: რამდენად შეესაბამება ასეთი მონოპოლია საერთაშორისო სტანდარტებს და ასეთი მიდგომა გამორიცხავს თუ პირიქით, უშვებს მომხმარებლის ინტერესების შელახვას?

**„აფბას“ წევრები ირწმუნებიან, რომ შედეგების შეჯამების შემდეგ ისინი კონკრეტულ რეკომენდაციებს შეიმუშავებენ, მაგრამ ასეც რომ არ იყოს, გამოქვეყნებული დასკვნები იმის საშუალებას მაინც მოგვცემს, რომ არ იყოს სრული „გაუგებრობა“ და ინფორმაციული ვაკუუმი ფარმაცევტულ ბაზარზე, თან იმის თქმასაც შევძლებთ, დაუსაბუთებლად ძვირია თუ არა საქართველოში წამალი და არსებობს თუ არა ამ სფეროში მონოპოლისტი თუ ოლიგოპოლი?!**

**თეა მოსია**

◎ ინფორმაცია

## ლევან გაჩეჩილაძის მტკიცებით

**მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ ლიდერის ლევან გაჩეჩილაძის მტკიცებით, თბილისის მერობის ერთიან კანდიდატთან დაკავშირებით მოლაპარაკებები ისევ მიმდინარეობს.**

— ჩვენ ყველასთან ვლაპარაკობთ, — განუცხადა გაჩეჩილაძემ ჟურნალისტებს.

რაც შეეხება იმას, მიიღებს თუ არა მერის არჩევნებში პირადად ის მონაწილეობას, გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ ეს პოლიტიკურ პარტიებთან მიმდინარე მოლაპარაკებების შემდეგ გადაწყდება.

— რა ფორმით ჩავერთვებით არჩევნებში, კონსულტაციების შემდეგ გაირკვევა, — განმარტა გაჩეჩილაძემ, რომელმაც აღნიშნული საკითხის მიმართ ჟურნალისტების მიერ გამოჩენილი „ცხოველი ინტერესის“ გამო უკმაყოფილებაც გამოხატა.

## „ქრისტიან-დემოკრატებმა“ თავიანთი კანდიდატი წარადგინეს

**„ქრისტიან-დემოკრატებმა“ თბილისის საკრებულოში დიდუბის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი წარადგინეს. ამ პოსტისთვის პარტიის ახალგაზრული ფრთის ლიდერი ლევან ჯაფარიძე იბრძოლებს.**

ჯაფარიძე საზოგადოებას თავად „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერმა გიორგი თარგამაძემ წარუდგინა.

ჯი-ეიჩ-ენი

განსჯა



***როდემდე შეიძლება გაგრძელდეს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მითვისება და როგორ შეიძლება აისახოს საქართველოზე თურქეთ-რუსეთის ურთიერთობების გაღრმავება, „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგსა და ექსპერტს ეკონომიკურ საკითხებში გია ხუხაშვილს ესაუბრა.***

# „რუსეთ-თურქეთის სტრატეგიული დაახლოება საქართველოსთვის ძალიან სახიფათოა“

**— ბატონო გია, საქართველოს პროტესტებისა და დასავლეთის დუმილის ფონზე რუსეთი ოკუპირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების ათვისებას განაგრძობს. რუსეთის სათათბირომ რუსი მესაზღვრეების აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში ყოფნა დააკანონა. ასე როდემდე შეიძლება გაგრძელდეს?**

— ასე გაგრძელდება, თუ არ მოიძებნა სერიოზული კონტრარგუმენტები იმისათვის, რომ რუსეთმა თავისი მოქმედება შეაჩეროს. დღეს ისეთი ვითარებაა შექმნილი, რომ საქართველოს სიტყვიერი განცხადებების გარდა არანაირი რესურსი და წონადი არგუმენტი არა აქვს ამ ტერიტორიების რუსულ სივრცეში ინტეგრაციის შესაჩერებლად. გასაგებია, რომ ეს რუსული იმპერიული პოლიტიკის ნაწილია, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთი ძალიან ოსტატურად იყენებს ქართული მხარის შეცდომებს. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ რუსეთმა დასავლეთის ნეიტრალიზაცია შეძლო.

დასავლეთი, ტალიავინის დასკვნიდან დაწყებული და „მოდელირებული ქრონიკით“ დამთავრებული, შემოიფარგლება ე.წ. ვალის მოხდით, რუსეთისადმი მოწოდებებით და მათი მხრიდან რუსეთზე ზეწოლა აქტიურ ფაზაში არ გადადის. ამაში ჩვენ თავად ვართ დამნაშავე. საქართველოს ხელისუფლებას იმის რესურსიც არა აქვს, რომ რუსეთს შეხვდეს და მის წინაშე პრინციპულად დააყენოს ეს საკითხები. კომუნიკაცია არა აქვს არც აფხაზურ და არც ოსურ მხარესთან. რუსეთი საქართველოს ხელისუფლების როგორც დასავლეთის, ისე მისი მიმართულებით მოქმედების დიაპაზონის არქონას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების თავის ერთიან სივრცეში ინტეგრაციის გაძლიერებისთვის წარმატებით იყენებს.

**— აშშ-თურქეთის ურთიერთოებების გამწვავების ფონზე ანკარასა და მოსკოვს შორის ურთიერთობების გაღრმავება საქართველოსთვის შემაშფოთებელ ტენდენციებს იძენს...**

— აბსოლუტურად გეთანხმებით, აშშ-ს კონგრესში სომხების გენოციდის საკითხის განხილვამ ვაშინგტონისაგან ანკარის დისტანცირება გამოიწვია და თურქეთს რუსეთთან დაახლოებისკენ უბიძგა. კარგად უნდა გვესმოდეს, რომ რუსეთ-თურქეთის სტრატეგიული დაახლოება საქართველოსთვის ძალიან სახიფათოა. სხვადასხვა სცენარების არსებობის ვითარებაში საქართველოსთვის მოსკოვისა და ანკარას სტრატეგიული პარტნიორობა შესაძლოა ძალიან მძიმე აღმოჩნდეს. ასეთი ტიპის დაახლოება და სხვადასხვა მიმართულებით კოორდინირებულობის მეტი ხარისხი, ჩვენთვის, რა თქმა უნდა, სახიფათოა.

უცნაურია, რომ აშშ-თურქეთის ურთიერთობების გამწვავება სომხეთის გენოციდის საკითხს უკავშირდება. ჩემი აზრით, მთელი ეს კომბინაცია, ანუ ვაშინგტონსა და ანკარას შორის ურთიერთობების დაძაბვა რუსეთის ინიციირებული და პროვოცირებულია. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ იმაზე, რომ რუსეთს „ნაჯახური“ პოლიტიკა აქვს, თუ ობიექტურად დავაკვირდებით და სუბიექტურად, დეკლარირების დონეზე არ ვიმსჯელებთ იმაზე, რომ რუსეთი ეს-ესაა დაიშლება, რუსეთის საგარეო პოლიტიკა ძალიან წარმატებულია. რუსეთმა მოახერხა სომხეთის მეშვეობით აშშ-თურქეთის დაპირისპირება. აშშ-ში სომხური დიასპორის მეშვეობით გენოციდის საკითხის ლობირებით რუსეთმა თავის მიზანს მიაღწია — აშშ-სა და თურქეთს შორის დისტანცირება უკვე მოხდა. ეს საბოლოო ჯამში იმ სტრატეგიაზე მუშაობს, რაც რუსეთს კავკასიაში აქვს. მოსკოვის კავკასიის მიმართულებით გააქტიურებამ აიძულა თურქეთი რუსეთის მიმართულებით გადაედგა შემხვედრი ნაბიჯები.

გარდა ამისა, რუსეთი თურქეთს ენერგომატარებლების სახით სხვა სატყუარასაც აძლევს. იმის გათვალისწინებით, რომ თურქეთი თავის ფუნქციას ენერგომატარებლების ევროპაში ტრანზიტის გარდა, ენერგომატარებლების დაგროვებასა და შემდგომ მის დისტრიბუციაში ეძებს, რუსეთი თურქეთთან ამ მიმართულებითაც იწყებს თანამშრომლობას. პრაქტიკულად რუსეთი სომხეთის მეშვეობით სტიმულირებას უკეთებს თურქეთის დასავლეთიდან დისტანცირებას, ვაშინგტონსა და ანკარას შორის ურთიერთობების გაცივებას და პარალელურ რეჟიმში ანკარას სთავაზობს სტრატეგიულ თანამშრომლობას ენერგეტიკის სფეროში. რუსეთის ამგვარი პოლიტიკით საქართველოსთვის და მთლიანად რეგიონისთვის სახიფათო სურათი შეიძლება მივიღოთ.

**— ბატონო გია, ამას წინათ თქვენ გაზეთ „რეზონანსში“ საინტერესო მოსაზრებები გამოთქვით ახალი პოლიტიკური ცენტრის შექმნა-ჩამოყალიბების აუცილებლობის სასარგებლოდ. ამ პუბლიკაციას თუ გამოეხმაურა ქართული პოლიტიკური სპექტრი?**

— რა თქმა უნდა, შემეხმიანენ. რამდენადაც ვიცი, ამ მიმართულებით გარკვეული კონსულტაციები პოლიტიკურ პარტიებს შორის მიმდინარეობს. მე განსაკუთრებული არაფერი მითქვამს, ობიექტური აუცილებლობაა ამაზე ვიფიქროთ. ფაქტია, რომ საქართველოს შიდა პოლიტიკის ანტირუსულად და პრორუსულად დაყოფა საბოლოო ჯამში ისევ რუსულ პოლიტიკაზე მუშაობს.

ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ხელისუფლება პროდასავლურობაზე უკვე აღარ ლაპარაკობს. პროდასავლური და ანტირუსული პოლიტიკა ერთი და იგივე არ არის. ჩვენ ვხედავთ, რომ დასავლეთი რუსეთს ძალიან ფრთხილად უდგება, ცდილობს ჩაითრიოს იგი ცივილიზებული თამაშში, გაზარდოს მასთან ინტეგრაციის ხარისხი. ასეთ ვითარებაში ჩვენი ხელისუფლება კვლავ „ცივი ომის“ ინიციირების რეჟიმშია, მე-20 საუკუნეშია ჩარჩენილი. ჩვენ გვყავს ანტირუსული ხელისუფლება, რაც რუსეთს აწყობს. იმის გათვალისწინებით, რომ დღეს რუსეთს საქართველოსაგან მიტაცებული ტერიტორიების ინტეგრაცია სჭირდება, მას ქართულ მხარესთან არანაირი მოლაპარაკებები არ აძლევს ხელს. მოლაპარაკებების რეჟიმში იგი იძულებული იქნებოდა რაიმე დათმობაზე წასულიყო. რამდენადაც პარადოქსული არ უნდა იყოს, ხელისუფლებასა და საზოგადოებაში ანტირუსული განწყობები რუსეთის წისქვილზე უშვებს წყალს.

პოლიტტექნოლოგიის თვალსაზრისით, რუსეთის მსგავსად ჩვენს ხელისუფლებასაც შიდაპოლიტიკური პრობლემების გადასაწყვეტად აწყობს მთელი ოპოზიციის რუსეთის ხელდასხმულად წარმოჩენა. მეორეს მხრივ, პოლიტიკური პროცესის დინამიკურად განვითარების თვალსაზრისით ეს ვითარება რუსეთსაც აწყობს, რადგანაც მას საქართველოში საყრდენების მოძიების საშუალება ეძლევა. აქედან გამომდინარე, პრორუსულიც და ანტირუსული პოლიტიკაც კრემლზე მუშაობს და ქვეყანაში სახელმწიფოებრივი პროცესის ინიციირებას შეუძლებელს ხდის. იმის გათვალისწინებით, რომ ანტირუსული და პრორუსული პოლიტიკური პოლუსი რუსეთის პოლიტიკის ნაწილია და კრემლის სასარგებლოდ მუშაობს, ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა — მემარცხენემ, მემარჯვენემ და სხვამ, ყველამ ერთად, უნდა შეძლოს უთხრას — „არა!“ როგორც ანტირუსულს, ისე პრორუსულ პოლიტიკას.

**— რამდენად რეალურია საქართველოში ახალი პოლიტიკური ცენტრის ჩამოყალიბება?**

— როგორც გითხარით, ამ მიმართულებით გარკვეულ პარტიებს შორის კონსულტაციები მიმდინარეობს, მათ ვინაობას ჯერ ვერ დავასახელებ. იმით, ვინც დამიკავშირდა, მკითხეს, შეეძლოთ თუ არა იმ მოსაზრებების გამოყენება, რომელიც მე „რეზონანსში“ გამოვთქვი და თქვენთანაც ვისაუბრე. ჩემს მოსაზრებებს თუ ვინმე რამეში გამოიყენებს და რეალურ ნაბიჯებს გადადგამს, მე მხოლოდ მოხარული ვიქნები.

კობა ბენდელიანი

სირცხვილია!..

# სოხუმის თეატრი დაიშალა?!.

## დიმა ჯაიანს არტისტობაც „ჩამოართვეს?!“

**მხვდება დიმიტრი ჯაიანი — საქართველოს სახალხო არტისტი, მთელი ცხოვრება სოხუმის თეატრის ჭირისუფალი, დევნილობაშიც რომ, შეიძლება ითქვას, საკუთარი მხრებით მოჰქონდა თეატრი, ამ სამი თვის წინათ კი, „რატომ კარგი აგიგიაო“, მმართველის თანამდებობიდან რომ გაანთავისუფლეს და, რამდენადაც მე ვიცოდი, მსახიობად დარჩა თეატრში.**

**— რა ხდება თეატრში?**

— ვეკითხები დიმას.

— მსახიობობიდანაც გამათავისუფლეს, ხელფასი შემიწყვიტეს და, ეგ არი, რა!

ცხადია, გამიკვირდა, გავვოცდი:

**— კი, მაგრამ თეატრში რას გეუბნებიან?..**

— არანაირი გამოხმაურება არ არის არც თეატრიდან და არც აფხაზეთის კულტურის სამინისტროდან... არადა, რომ იცოდე, თვითონ აფხაზეთში, სოხუმში მოჰყვა ამ ფაქტს მწვავე რეაქცია, იქ მყავნან უახლოესი მეგობრები, რომლებსაც დივიდით აქვთ ნანახი გურამ ოდიშარიას პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „ზღვა, რომელიც შორია“, ესმით მისი მნიშვნელობა, როლი აფხაზეთის, აფხაზების ჩვენკენ მობრუნების საკითხში და, როგორც გურამ ოდიშარიამ მითხრა, გაოცებას ვერ ფარავენ, რა, თქვენი ხელისუფლება, ერთს ამბობს და მეორეს აკეთებსო?! ძალიან მინდოდა ეს სპექტაკლი სოხუმში გვეთამაშა, მაგრამ, მორჩა, ჩვენი თეატრი, ფაქტობრივად, დაიშალა!

**— როგორ დაიშალა!**

— ჩემი მეგობრები, თეატრის მთავარი ბირთვი, ათეული წლები ჭირსა და ლხინს ერთად რომ ვიყოფდით, წამოვიდა თეატრიდან, რაც, მგონი, დაშლას ნიშნავს, არა?!.



**— ერიჰააა!.. ყოჩაღ, აფხაზეთის მთავრობავ! თუმცა, ეს ფაქტი უკვე უფრო ზემოთ, საქართველოს მთავრობამ, ხელისუფლებამ უნდა განსაჯოს, რადგან სოხუმის თეატრის დაშლას დიდი რეაქცია მოჰყვება და მხოლოდ და მხოლოდ მტრის წისქვილზე მიუშვებს წყალს!**

— ასე იცის, ძმაო, „პოზიციაოპოზიციის“ ძებნამ, სოხუმის თეატრის მნიშვნელობის არცოდნამ და ბევრმა უმსგავსო საქციელმა, რაც საქვეყნო საქმეს ცუდად არგია!..

**... დიმა ჯაიანი, მაინც იმედიანი ღიმილით მემშვიდობება.**

ვილენ მარდალეიშვილი

წინასაარჩევნო წკეპლიკა

# როგორ გადამაფიქრებინა ბუტამ გაბუტვა

**საპარლამენტო ბოლშევიკები (უმრავლესობა!) და საპარლამენტო მენშევიკები (უმცირესობა!) ხშირად ქილიკობენ გარდასულ კომუნისტურ ეპოქაზე; არადა, საბჭოურ ხანაში ბევრი რამ იყო საქმები: უფასო სწავლა-განათლება, უფასო სამედიცინო მომსახურება, მაგალითად, ფეხმძიმე ქალთათვის სამშობიარო სახლში მოსალოგინებლად რამდენიმედღიანი დაწოლაც (ისე კი არა, ახლა რომ სამდღიანი წოლა 1200 ლარი „ნაღირება“...), აგრეთვე ცნობათა ბიუროში (09) დარეკვა და სხვა.**

**ჰოდა, სწორედ რომ 09 გახდა დიღმის მასიველებთან მერობის მორიგი კანდიდატის ბუტა სარჩიმელიას შეხვედრისას მისი მთავარი კოზირი. საგულისყურო რამეები გვითხრა: მერად თუ ამირჩევთ, ვერც გაზისა და სინათლის გადასახადების შემცირებას დაგპირდებით, ვერც უფასო სასმელ წყალს — ეგ არარეალურიაო; სამაგიეროდ, ცნობათა ბიუროში დარეკვას გაგიუფასურებთ, ახლა რომ 1 ლარი ღირსო; ქუთაისში პარლამენტის და ბათუმში უზენაესი სასამართლოს გადატანას მე არავინ არ მკითხავს, სამაგიეროდ, მერი რომ ვიქნები, არც ზოოპარკს გადავიტან თბილისის ზღვაზე, არც მტკვარს შევუცვლი კალაპოტს თბილისის ფარგლებში და რკინიგზასაც შევეშვებიო; უფასო 09-ს ხომ გპირდებით, კიდევ სიტყვას გაძლევთ, რომ დავით აღმაშენებლის ძეგლს ძველ ადგილას დავაბრუნებ, პირველ სკოლასთან რომ პარლამენტის ზემოთ ასასვლელი ტროტუარია აყრილი, იმას შევაკეთებო...**

**მართალი გითხრათ, ადგილობრივი ორგანოების არჩევნებთან გაბუტული ვიყავი ბატონ ბუტასთან შეხვედრამდე და არ ვგეგმავდი საარჩევნო ყუთთან მისვლას. თბილისის მერობის კანდიდატების დოღს ფიქრშიც სკეპტიკურად და ირონიულად ვუყურებდი, ტელეეკრანზეც, თან თავში დაუვიწყარი მურმან ლებანიძის სტრიქონების ასეთ გარდათქმა მიტრიალებდა: მერობის მდომნი მომრავლდნენ, საღიმილოა რაიც, რბილ სავარძელში ჯდომაზე რამდენი ფიქრობს მაინც... ბუტამ გაბუტვა გადამაფიქრებინა, იმდენად რეალური მეჩვენა მაგისი წინასაარჩევნო დაპირებები, განსაკუთრებით საცნობაროში დარეკვის ერთლარიანი ღირებულების მოხსნაზე... ასე რომ, მერის არჩევნებზე ხმას ბუტას მივცემ, თანაც ხმის მიცემამდე ერთ რჩევასაც მივცემ, ოღონდ ამჯერად დიდი გალაკტიონის ერთი სტროფის გარდათქმით: და თუ გიგი არ ისვენებს, კვლავ მერობის მდომი — ყველა მისი კონკურენტი იდგეს, როგორც ლომი...**

ლუკა გორგაძე

№ 58. სამშაბათი, 30 მარტი, 2010 წელი.

პოზიცია

***ჯერ კიდევ გასული წლის აგვისტოს თვეში, როდესაც „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა სენსაციური წერილი მეგრული ენის გრანდიოზული პრიორიტეტების შესახებ მსოფლიოს ხალხთა ენების კონტექსტში („გადატრიალება ენათმეცნიერებაში“ 15 აგვისტო, 2009 წ.), მე ასეთი სასიხარულო და საამაყო ფაქტის პროფესიული შეფასების თხოვნით გაზეთის რედაქციაში მივიტანე წერილი „სენსაცია თუ ბლეფი?“.***

***სამწუხაროდ, მაშინ ეს წერილი არ დაიბეჭდა. კიდევ უფრო სამწუხარო კი ის იყო, რომ ხსენებული (საამაყო თუ პოლემიკური?) ფაქტის მეცნიერული შეფასებისა და კვალიფიკაციისაგან თავი შეიკავა საქართველოს ენათმეცნიერების ინსტიტუტმაც.***

***თანდათან, ეს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი დავიწყებას მიეცა, მაგრამ აი, „საქართველოს რესპუბლიკის“ 17 მარტის ნომერში დაიბეჭდა ჩემთვის უცნობი ავტორის ბატონ ანზორ შონიას არანაკლებ სენსაციური წერილი თითქმის იმავე საკითხზე (აგრეთვე სხვა საკითხებზედაც) „საქართველოს მოქალაქე და ქართველი სხვადასხვა ცნებებია“.***

***გთავაზობთ რამდენიმე აბზაცს ამ წერილიდან: „...იბერიულ (ქართლურ) ენას, რომელსაც შემდეგ ეწოდა ქართული ენა, საფუძვლად დაედო სწორედ მეგრული ენა“ (?! გ.ტ.).***

***მეორე, თითქმის ანალოგიური: „მეგრული ენა დაედო საფუძვლად „იბერიულ“ (ქართლურ) ენას, რომელსაც ერთიანი საქართველოს ეპოქაში (XI-XV საუკუნეები) ეწოდა „ქართული ენა“.***

***დაბოლოს, გაუგებარი და გამაოგნებელი: „ბუნებრივია, მეგრელები და სვანები ჭეშმარიტი მეგრელები არიან“ (??!).***

***აი, ასეთმა „თვალმარგალიტებმა“ აღმიძრა მოთხოვნილება ხელახლა დავბრუნებოდი მეგრული ენის პრიორიტეტების საკითხს.***

***ახლა კი, „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის ნებართვით გთავაზობთ ჩემი აგვისტოს თვეში დაუბეჭდავი წერილის „სენსაცია თუ ბლეფი“ ტექსტს:***

# ვუბრუნდები... დაუბეჭდავს

სენსაცია თუ ბლეფი? ორი ასეთი დიამეტრულად საწინააღმდეგო აზრი არსებობს იმ ხელმოუწერელი, მქუხარე სათაურის – „გადატრიალება ენათმეცნიერებაში“ – მქონე სტატიის შესახებ, რომელიც 15 აგვისტოს დაიბეჭდა „საქართველოს რესპუბლიკაში“.

იგი ეხება შვიდტომეულს – „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“ (სხვა თუ არაფერი, პატივი ვცეთ ავტორების მიერ გაწეულ ვეებერთელა შრომას!).

სენსაციურობის ვერსია გადმოცემულია თვითონ წერილში. აბა, მაშ, რა კვალიფიკაცია უნდა მივცეთ ასეთ ფრაზებს: „ქართველმა ხალხმა, მსოფლიო საზოგადოებამ უდიდესი შენაძენი მიიღო... გამოვიდა ნაშრომი, რომელიც სავსებით თვალსაჩინოდ და ყოველმხრივ დასაბუთებულად ხსნის – მოცემული ენის, ზოგადად ენის და სხვადასხვა ენის – წარმოშობის საფუძვლებს“.

და კიდევ ერთი ციტატაც: „უნიკალური აღმოჩენაა გაკეთებული ენათმეცნიერების დარგში, რომელიც ამსხვრევს ენის წარმოშობის საკითხზე ენათმეცნიერებაში აქამდე დამკვიდრებულ უმწეო და უსაფუძვლო შეხედულებებს“ და ა.შ.

დარწმუნებული ვარ, მკითხველთა უდიდეს უმრავლესობას (ისევე, როგორც მე), – სიამაყის და სიხარულის გრძნობით აევსო გული. ხუმრობა ხომ არ არის, მეგრული ენის ლექსიკის ანალიზის საფუძველზე, რომელიც სვანურთან და მეთაურ (რა თქმა უნდა!) ქართულ ენასთან ერთად, ქართველური ენების დიდებულ ანსამბლს ქმნის, კეთდება ასეთი გლობალური, მსოფლიო მნიშვნელობის დასკვნა!

წარმოგიდგენიათ, რამდენად აიწევს ამით ქართველური ენების (პირველ რიგში, მეგრულის) და მათი შესანიშნავი მკვლევარების საერთაშორისო პრესტიჟი! რა პატივი იქნება ეს მთელი ჩვენი ქვეყნისათვის!

თუმცაღა, უნდა გითხრათ, გამაკვირვა იმან, რომ საგაზეთო პუბლიკაცია, ჯერ ერთი, ხელმოუწერელი აღმოჩნდა და – მეორეც – მას არ ახლდა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, რედაქციის რაიმე სახის მინაწერი, მაგალითად, დისკუსიის გახსნის თაობაზე საკამათო საკითხთან დაკავშირებით.

ბუნებრივია, რომ ძალიან დავინტერესდი, თუ რა აზრისა არიან ყოველივე ამის შესახებ ა.ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტში, სადაც, როგორც ცნობილია, ამ ენების სპეციალური მეცნიერული შესწავლა წარმოებს.

ჩემდა გასაკვირად, ამ დიდად პატივსაცემი დაწესებულების კოლექტივში, თურმე, არავის ჰქონდა წაკითხული ზემოხსენებული სტატია!

გამოდის, რომ ქართულ გაზეთებს არ კითხულობენ არა მარტო ჩვენი ძალიან დაკავებული პოლიტიკოსები, არამედ ენათმეცნიერებიც!

ის კი შევიტყვე, რომ ხსენებულ შვიდტომეულს გასცნობიან და პირველადი წარმოდგენა შეუქმნიათ მის შესახებ. სწორედ აქ გავიგონე სიტყვა, – ბლეფი, რომელიც წერილის სათაურშია გამოტანილი.

კერძოდ, სკეპტიკოსებს, რბილად რომ ვთქვათ, არასერიოზულად მიაჩნიათ „მეგრული ენის ლექსიკის“ ავტორთა ესოდენ ფუნდამენტური მეცნიერული დასკვნების გაკეთების მცდელობა. იგონებენ წარსულში მსგავს სენსაციურ „აღმოჩენებს“. მაგალითად, პირინეის (იბერიის) ნახევარკუნძულზე ქართველთა ვითომდაც გადასახლებისა და ცნობილი კელტურ-იბერიული წარწერების ქართულად წაკითხვის ამბავს, რაც სულ მალე საპნის ბუშტივით გასკდა და სხვა ამდაგვარებს...

მე კი, შთაბეჭდილება შემექმნა, რომ, საზოგადოდ არავინ აპირებს რაიმე გამოხმაურებას ასეთი (ჩემი აზრით) დიდი მნიშვნელობის მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოვლენაზე, რაც ფრიად შემაშფოთებელია. „სირაქლემის მეთოდს“ ხომ არასოდეს და არავისთან გამოუღია კეთილი ნაყოფი და, საფიქრებელია, არც ამ შემთხვევაში გამოიღებს.

პატივცემულო, ღირსეულო და გამოჩენილო აკადემიკოსებო, პროფესორებო და დოქტორებო! ხომ წარმოგიდგენიათ, რომ, თუ საქმე მართლა ისეა, როგორც თქვენ ფიქრობთ, რა ყალბი და, მაშასადამე, საშიში ინფორმაციის ტყვეობაში აღმოჩნდება ქართული საზოგადოება თქვენი გაჩუმების შემთხვევაში, რამდენი მოულოდნელი და უსიამოვნო კაზუსი შეიძლება მოყვეს ესოდენ გაზვიადებულ და მცდარ წარმოდგენებს ჩვენი განსაკუთრებულობის შესახებ.

თუ არა და, იქნებ, მთლად ისე არ არის საქმე, როგორც მე მომეჩვენა და თქვენ შორისაც აღმოჩნდებიან ისეთები, რომლებიც დადებითად შეაფასებენ (ღმერთმა ქნას!) შვიდტომეულის ავტორთა მიერ გაწეულ უზარმაზარ შრომას, თუნდაც მის ნაწილს მაინც.

ველით თქვენ პირუთვნელ, ობიექტურ და სამართლიან გამოხმაურებას ენათმეცნიერებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

**პატივისცემით**

**გულბათ ტორაძე,**
**თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი**

(2009 წლის აგვისტო – 2010 წლის მარტი)

პრესკონფერენცია

# „დიდი მადლობა – პატრულს!“...

## ადვოკატი კობა სოხაძე თავად დასაცავი გახდა!

**„ნაციონალური მოძრაობის“ სიკეთეებს რომ გადავხედოთ, ერთ-ერთ საპატიო ადგილს აუცილებლად „პატრულები“ დაიკავებენ. ყველას კარგად გვახსოვს, თუ როგორი შემართებით დაიწყეს მუშაობა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა. მერე „რუსთავი-2“-ზე გავიდა გურამ დონაძის გადაცემა „პატრული“ და დაიწყო მათი „ვარსკვლავური“ ცხოვრებაც.**

„დიდი მადლობა – პატრულს!“ – დიდი და პატარა ამას გაიძახოდა, ზოგი გულწრფელად ემადლიერებოდა მათ, ზოგსაც დაეზეპირებინა და ისე იმეორებდა, ზოგიც – ხუმრობით. ასეა თუ ისე, მათ მადლიერნიც და უმადურნიც ბევრი ჰყავთ. სატელევიზიო სახუმარო გადაცემების მთავარი „გმირებიც“ კი ყოფილან, ასე გაპიარდნენ და...

ეჰ, პიარიც არის და პიარიც, ან რა საჭიროა დემოკრატიულ ქვეყანაში პოლიციელების პოპულარიზაცია?! ისე, ცოტა არ იყოს და საქართველოში, არც სასამართლოების ნდობის პროცენტული მაჩვენებელი უნდა იყოს მაღალი.

სწორედ სასამართლოს უკანონობაზე გამართა პრესკონფერენცია ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა და განაცხადა, რომ დღეს საქართველოში თავისუფალი სასამართლო არ არსებობს. ამ სასამართლოთი მხოლოდ ვლადიმერ ილიას ძე ლენინი თუ იამაყებდაო.

მოსამართლე კანონს საკუთარი ინტერესებისამებრ იყენებს. თუ ადვოკატმა სასამართლო პროცესზე 10 წუთით დაიგვიანა, მოსამართლე ადმინისტრაციული სასჯელით – 100 ლარით აჯარიმებს. ხოლო, სასამართლო პროცესზე საკუთარ ორსაათიან დაგვიანებას არაფრად მიიჩნევს.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ზაზა ხატიაშვილის განცხადების მთავარი თემა ზემოხსენებული პატრულის თანამშრომლების მიერ 20 მარტს ადვოკატ კობა სოხაძის უკანონოდ დაპატიმრება გახლდათ. მისი განცხადებით, ადვოკატი კობა სოხაძე პატრულმა დაუმორჩილებლობის გამო დააკავა. თავდაპირველად საპატრულო პოლიციამ 19 მარტს ქუთაისში გააჩერა ავტომანქანა, რომელშიც იმყოფებოდა კობა სოხაძე, ხოლო ავტომანქანას მართავდა მისი მეგობარი შალვა დვალიშვილი, სწორედ შალვა დვალიშვილის ცემის ფაქტი გადაიღო მობილური ტელეფონით ადვოკატმა კობა სოხაძემ, რის შემდეგაც პატრულის თანამშრომლები ადვოკატსაც ფიზიკურად გაუსწორდნენ და კობა სოხაძე პატრულის დაუმორჩილებლობის მიზეზით დააკავეს.

ასეთ დროს საჭესთან მყოფს ჯარიმას უწესებენ, ხოლო კონკრეტულ შემთხვევაში ადვოკატს 30-დღიანი პატიმრობა შეუფარდეს.

ამ ფაქტს შეესწრო კობა სოხაძის ადვოკატი ციცინო ბაბუნაშვილი, რომელსაც ინციდენტის დროს თავად კობა სოხაძემ დაურეკა. როგორც ცნობილია, ადვოკატი დაკავების დღიდან შიმშილობს. მე, ზაზა ხატიაშვილი დაუყოვნებლივ მოვითხოვ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე ამ ინციდენტში მონაწილე პოლიციის ყველა თანამშრომელზე, – დასძინა ზაზა ხატიაშვილმა.

ასეა თუ ისე, ხალხის დამცველი თავად გახდა დასაცავი – ესეც ალბათ პატრულის ერთ-ერთი სიკეთეა.

**მერი ქურასბედიანი**



ინფორმაცია

## ლიტვა საქართველოს ნამდვილი მეგობარია

**ლიტვის** საგარეო საქმეთა მინისტრის აუდონიუს აჟუბალისის განცხადებით, საქართველოსთან თანამშრომლობა ე.წ. ახლადშექმნილი სახელმწიფოების არაღიარების კუთხით გაგრძელდება. როგორც ლიტვის სს უწყების ხელმძღვანელმა ქართველ კოლეგასთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, დღევანდელი შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი თემა ოკუპირებული ტერიტორიები, იქ არსებული ვითარება და ცნობილი სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტი იყო.

– ლიტვა საქართველოს ნამდვილი მეგობარია, ამიტომ ჩვენ ორმხრივ თანამშრომლობას კიდევ უფრო გავაღრმავებთ. სწორედ ამ კუთხით გადავწყვიტეთ კომისიების შექმნა, რომლებიც ორ ქვეყანას შორის კონკრეტულ საკითხებს შეისწავლიან, ასევე დღევანდელ შეხვედრაზე განვიხილეთ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება, თუ როგორ შეიძლება გავაგრძელოთ არაღიარების პოლიტიკა ე.წ. ახლადშექმნილი სახელმწიფოების მიმართ. ასევე საუბარი შეეხო ცნობილი სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავებასაც, – აღნიშნა ლიტვის სს უწყების ხელმძღვანელმა.

## მილან კაბრნოხი საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდა

**ევროპარლამენტის** კავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობის დელეგაციის ხელმძღვანელი მილან კაბრნოხი საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრა სასტუმრო „თბილისი-მარიოტში“ გაიმართა და მას პარლამენტსგარეთ მყოფი ოპოზიციონერი ლიდერებიდან ლევან გაჩეჩილაძე, ნინო ბურჯანაძე, ვიქტორ დოლიძე, კახა შარტავა და გია გაჩეჩილაძე ესწრებოდნენ. საპარლამენტო უმცირესობას კი ნიკა ლალიაშვილი წარმოადგენდა.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს ოპოზიციონერმა ლიდერებმა განუცხადეს, საუბარი ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას, მოახლოებულ არჩევნებს, საარჩევნო გარემოს და სხვა აქტუალურ შიდა და გარე საკითხებს შეეხებოდა.

ჯი-ეიჩ-ენი

საქართველოს ნაწილი მოსკოვში

# ანა – ვსესვიატსკოეში

**როგორც ცნობილია, 1695 წელს პეტრე პირველმა, ერთ დროს მოსკოვის განაპირა სოფელი ვსესვიატსკოე უბოძა ალექსანდრე არჩილის ძეს.** ამ დროს იმერეთის უფლისწული არა მხოლოდ რუსეთის არმიის მშენებელი და მისი პირველი გენერალ-ფელდცეხმაისტერია, იგი აქტიურ ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწევა. სტოკჰოლმში, სადაც წლების მანძილზე ტყვეობაში იმყოფებოდა, განუწყვეტლივ ზრუნავდა ქართული სტამბის მოწყობაზე, მაგრამ არ დასცალდა. 1711 წლის 20 თებერვალს, ტყვეობიდან თავდახსნილი, გზად კუნძულ პიტეოსზე გარდაიცვალა. მალე, სამი ვაჟიშვილის დაღუპვით გამწარებული არჩილ მეფე და დედოფალი ქეთევანიც განერიდნენ ამ წუთისოფელს. ვსევსიატსკოე დარჩა მეფის ოჯახის ერთადერთ წევრს დარეჯან არჩილის ასულს. იგი იყო მოსკოვის ქართული კოლონიის მეთაური, ამავე დროს საქართველოს ელჩის მოვალეობასაც ასრულებდა. დარეჯანმა 1733-1735 წლებში ვსესვიატსკოეში ძველი ეკლესიის ნაცვლად ააგო დიდი ტაძარი, რომელიც დონის მონასტერთან ერთად ქართული კოლონიის კულტურის, რელიგიის და სულიერების მასაზრდოებელი კერა გახდა. აქ არის დასვენებული წმინდა ნინოს, თამარ მეფის და დარეჯან ბაგრატიონის სასწაულმოქმედი ხატი, აქ შეადგინა საქართველოს სამეფოს ისტორია ვახუშტი ბაგრატიონმა, აქ წერდა თავის ცნობილ იგავ-არაკებს და აქვე ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი სულხან-საბა ორბელიანმა, აქ უმღეროდა ქართველი, რუსი და უკრაინელი ხალხის მეგობრობას დავით გურამიშვილი.



აქ, მოსკოვის გულში დღესაც „საქართველოს ქებად“ აღმართულ სიდიადეს უძღვნა დიდმა ანა კალანდაძემ ლექსი და დოკუმენტური ძნილებები. ერთგან პოეტთა დედოფალი წერს: „მოსკოვში ვსესვიატსკოეს ტაძარში ტევა არ იყო და იქვე, შესასვლელთან დავდექით საკავშირო მწერალთა ყრილობის რამდენიმე დელეგატი. წირვის შემდეგ გარს შემოგვეხვივნენ მლოცველები. ქართველებად შეგიცანითო, გვითხრეს: ეს ქართული ეკლესიაა, თქვენი წინაპრების მიერ აგებული და მისი ყოველი კუთხე-კუნჭული მოგვატარეს. ამ უბრალო რუსი ადამიანების ამაღლებულმა გრძნობამ, სამართლიანობის მშვენიერებამ ისე იმოქმედა ჩემზე, ისე შემძრა, რომ ლექსის სტრიქონებიც კი მიკარნახა, ლექსისა, რომელსაც „ვსესვიატსკოეში“ ვუწოდე. ხალხი მშვიდობის მოყვარე და სამართლიანია“! (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1999. 30.12)

**ბიძინა გეგეშიძე,**
**საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.**

**ხატზე : (მარცხნიდან) თამარ მეფე, წმინდა ნინო, დარეჯან ბაგრატიონი.**

**ავტორის ფოტო**

წკიპურტი

## საქართველოში მონები არ აჯანყდებიან!

**ალბათ იკითხავთ, რა შუაშია მონები და საქართველოო? შუაში კი არა, თავშია. ყველგან არიან ჰომო მიშიკუსები, დაწყებული პარლამენტიდან, მთავრობიდან, გუბერნატორებიდან, გამგებლებიდან — უზნეონი, უვიცნი, გაუმაძღარნი, ბოღმით და ტყუილით აღსავსენი, კრიმინალები, დემაგოგები, ცინიკოსები. ზოგი სხვა ქვეყნების პრეზიდენტთა ხელფასზე უფრო მეტი ხელფასის მქონე, მფლობელი ძვირად ღირებული უძრავი ქონებისა არა მარტო ქვეყნის შიგნით.**

**მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს ასეთი მდიდარი მონები, არც ასეთი მონათმფლობელი — ბრიყვი, კაცთმოძულე, ქოსატყუილა.**

**ნუ ველოდებით მონათა აჯანყებას, მონათმფლობელი და მონები ურთიერთმძევლები არიან.**

**ლონდა მდივანი.**

თანამედროვე

***კელაპტრით ხელში, მუხლმოდრეკით ხატის წინაშე***
***მინდა დავლოცო ქართლის მიწა — ეს მთა, ეს ველი,***
***უხსოვარ დროდან ჩაიწერა მატიანეში,***
***რომ ამ წიაღში დაძმობილდნენ ოსი — ქართველი!“***

# ქართველი ექიმის ჰუმანური მისია

**ამ სტრიქონების ავტორი რუსლან ჯანიძეა — ღვაწლმოსილი ექიმი და პოეტური შთაგონებით აღსავსე პიროვნება, ვინც, მისივე სტრიქონით რომ ვთქვათ, „საქართველოს იღბალი საკუთარ გულში ჩატია“ და ამ გულით მთელი ცხოვრება ატარა უამრავ განსაცდელგამოვლილი მეგობრობა...**

ბაკურიანში, ქართულ-ოსურ ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. საშუალო სკოლა ოქროს მედლით დაამთავრა და იმავე წელს უჟგოროდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე უკონკურსოდ ჩაირიცხა.

უნივერსიტეტი 1973 წელს დაამთავრა და ბორჯომის რაიონულ ცენტრალურ საავადმყოფოში დაიწყო მოღვაწეობა. 1980 წელს მიაკუთვნეს უმაღლესი კატეგორიის ექიმის წოდება...წარმატებას წარმატება მოჰყვა, ჯილდოს — ჯილდო...

მაგრამ ეთნიკურმა პრობლემებმა, ოსურ-ქართულმა დაპირისპირებამ აიძულა ემიგრაციაში წასულიყო:

„ძალზე განვიცადე ოსებისგან ქართველებისადმი დაუსაბუთებელი ტერიტორიული პრეტენზიები, კრიტიკულად განვსაჯე ქართველებისადმი უმართებულო პოლიტიკა, რასაც ცენტრალური პრესის ფურცლებზე ფართოდ გამოვეხმაურე.

დავგმე ოსების ინტერვენციული და სეპარატისტული ზრახვები. ამ ყველაფერმა ოსური საზოგადოების მხრიდან ჩემდამი აგრესია გამოიწვია. ფიზიკურ ლიკვიდაციასაც კი შეეცადნენ. რა დასამალია და, იმ დროს ხელისუფლება არამყარ პოლიტიკას აწარმოებდა, ვერც ვერავინ დამიცავდა.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს მივმართე, მაგრამ — უშედეგოდ. ვინაიდან მეუღლე პოლონელი მყავს, 1991 წელს იძულებული გავხდი, პოლონეთში ემიგრაციაში წავსულიყავი...“

პოლონეთში ბატონმა რუსლან ჯანიძემ აქტიური მოღვაწეობა დაიწყო. დიდ წარმატებებს მიაღწია პრაქტიკული მედიცინის დარგებში — ნევროლოგია, ძვალსახსროვანი სისტემის რეაბილიტაცია, და 2003 წელს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის წოდება მიენიჭა.

**ფოტოკონკურსში — „თანამედროვე ჰიპოკრატე“ გაიმარჯვა იმ ფოტომ, რომელზეც მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი რუსლან ჯანიძეა გამოსახული. აი, როგორი უნდა იყოს თანამედროვე ექიმის კლასიკური სახე — წერდნენ პოლონური გაზეთები.**

ბატონ რუსლანს ღირსებას ჰმატებს ისიც, რომ იგი აქტიური დონორია. ჯერ კიდევ საქართველოში ცხოვრების დროს 45 ლიტრი სისხლი უანგაროდ გაიღო პაციენტებისთვის, რისთვისაც საბჭოთა კავშირის საპატიო დონორის წოდება მიანიჭეს. დონორის კეთილშობილური მისია მან პოლონეთშიც განაგრძო და, საერთო ჯამში, 141 ლიტრი სისხლი უანგაროდ გაიღო.

პროფესორი რუსლან ჯანიძე აირჩიეს სრულიად პოლონეთის წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრად, იგი პოლონეთის წითელი ჯვრის ოქროს მედალოსანია.

ცხოვრების უსამართლობამ მრავალჯერ გაამწარა, მაგრამ არ გააბოროტა. 20 წლის მანძილზე პოლონეთში გადახვეწილი იქაურებმა საკუთარ შვილად მიიჩნიეს და მოქალაქედ აღიარეს, ის კი კვლავ საქართველოზე ფიქრობდა. ნოსტალგიით შეპყრობილი დარდს ლექსების წერით იქარვებდა:

„გული მწყდება, რომ საქართველო — ეს, მართლაც, უნიკალური, ღვთის მიერ ნაბოძები მიწა, ენით ქებული, დიდებული ტრადიციებით, მომხიბვლელი ლანდშაფტით, ოციოდე წლის წინათ, მთელი მსოფლიოს ხალხებს რომ აჯადოებდა და მაგნიტივით იზიდავდა, დღეს მწვანე უდაბნოს დაემგვანა, სადაც ხმა მღაღადებლისა, ვშიშობ, რომ ექოდ იკარგება...“

**— სამედიცინო სფერო მტკივნეული და პრობლემებით აღსავსეა... როგორია პოლონეთიდან თქვენი თვალით დანახული ქართველი ექიმის სახე?**

— სირცხვილიც იქნება, რომ პოლონელი ექიმის ხელფასი საქართველოში მცხოვრებისას შევადარო. ქართველი ექიმები სამარცხვინო ანაზღაურებას იღებენ თავდადებული და მაღალკვალიფიციური შრომის ხარჯზე, იმ დროს, როცა მათი დონე არსებითად განსხვავდება დასავლეთის ექიმთა დონისგან, ისევე როგორც როდოსის კოლოსი — მინიატიურული ქანდაკებისგან.

სავალალოა ქართველ პაციენტთა ხელმიუწვდომელობაც ამჟამად არსებული ულტრათანამედროვე სამედიცინო სადიაგნოსტიკო სამკურნალო მომსახურებისადმი. სოციალური დაზღვევის ინსტიტუტი არსებობს, მაგრამ მას მყარი გარანტია უნდა ჰქონდეს თანამედროვე მკურნალობის ჩასატარებლად, და არა ტელეშოუებისა და მესიჯების ხარჯზე შეგროვებული ფულით თითო-ოროლა ქართველისთვის იყოს ხელმისაწვდომი, ისიც დიდი ცრემლებისა და ნერვული სტრესების ხარჯზე.

ევროპისკენ რომ მივისწრაფვით და თავს თითქმის ევროპელებად ვასაღებთ, ეს იმას არ ნიშნავს, მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი ჯორჯია გვაევროპელებდეს. ჩვენ — ქართველები სოციალურ-ეკონომიკური და კონსტიტუციური სტატუსით იმდენად შორს ვართ ევროპელებისგან, რომ ევროკავშირში შესვლა ჩემში საკმაო იუმორს იწვევს.

თუ ამაღლდება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური დონე, ხალხს ექნება ცხოვრების არათუ ელემენტარული საშუალება, არამედ იმ ევროპული დონის ცხოვრების თუნდაც ნახევარი, საინტერესო იქნება არა ოდენ ექიმის მოღვაწეობა...

ბატონი რუსლანი ყველა პრობლემის მოგვარების გასაღებს საქართველოს მომძლავრებაში ხედავს. თუ ცხოვრების დონე ამაღლდება, არც ერთი ქართველი არ გაიქცევა საქართველოდან, და გაქცეულებიც უკან დაბრუნდებიან. მათ ოსებიც და აფხაზებიც მოჰყვებიან.



**— ჩემი შეურიგებელი ბუნების გამო, ქართველთა და ოსთა მტრობამ სამშობლოში თითქმის ყველაფერი დამაკარგვინა — უძრავ-მოძრავი ქონება, სახლ-კარი, მაგრამ არ დამკარგავს სიყვარული საქართველოსადმი. ამჟამადაც, უსახლკაროდ დარჩენილი, აქტიურად ვმოღვაწეობ ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში.**

საბოლოოდ საქართველოში დაბრუნებას ვფიქრობ. დიდი პოლიტიკოსი არ ვარ, მაგრამ ქართული სულით ვცხოვრობ და თითოეული წვრილმანიც კი საქართველოს აღორძინებისა ფარ-ხმალს არ მაყრევინებს, რათა ექიმური ეთიკითა და პატრიოტული გრძნობებით ოსებსა და ქართველებს შორის ხიდები აღვადგინო. უანგაროდ მოვემსახურები ოსებსაც, ქართველებსაც და საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნების ადამიანებსაც.

...ქართველი ექიმის ჰუმანური მისია, ასეც შეიძლება ვუწოდო ბატონი რუსლანის მოღვაწეობას. იგი ბრწყინვალედ ფლობს შვიდ ენას — ქართულს, ოსურს, რუსულს, უკრაინულს, პოლონურს, ჩეხურს, უნგრულს. ლექსების წერის გარდა, თარგმნის უცხოელ ავტორთა ნაწარმოებებს. პოეზია ბუნებისგან მინიჭებულ მადლად მიაჩნია, რომელიც ტკივილს უმსუბუქებს და სიხარულს უათკეცებს.

საქართველოს სიყვარულს შვილებსაც უნერგავს. ნინო ჯანიძე „მის ბორჯომის“ ტიტულის მფლობელია და საქართველოს მასშტაბით სილამაზის კონკურსში მონაწილეობდა. იგი მომავალი ჟურნალისტია, ხოლო გარიმ — მამასავით ექიმობა არჩია.

**„მინდა დავლოცო ქართლის მიწა...“ — ვკითხულობ ბატონი რუსლანის ლექსის სტრიქონებს და ვფიქრობ, რომ ასეთ პროფესიონალებზე და პატრიოტებზე უნდა აშენდეს საქართველოს მომავალი...**

**თამარ შაიშმელაშვილი**

ენერგეტიკის სექტორი



# დავზოგოთ ელექტროენერგია... დენის გამოურთავად

**ორნახევარი მილიონი დოლარი – ეს არის ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ხელშეწყობით წამოწყებული ორწლიანი პროექტის „თანამედროვე ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიებისა და განათების ინიციატივის" ბიუჯეტი. აღნიშნული პროექტის მიზანია საქართველოში ენერგოეფექტიან ღონისძიებათა გატარების ხელშეწყობა.**

მსოფლიო ფინანსურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა ყველა სახეობის რესურსის – საწარმოოს, ფულადის, ენერგეტიკულის დაზოგვის საკითხი განსაკუთრებული სიმძაფრით დააყენა, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ისიც ითქვას, რომ აქტუალობა ამ პრობლემას არც არასდროს აკლდა. ამჟამინდელ საყოველთაო გასაჭირის ჟამს კი სამეწარმეო, საყოფაცხოვრებო პროცესებში ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიების ინტენსიურად შემოღების გარეშე, ის „სიამოვნებაა", რომელიც დღითი დღე სულ უფრო ძვირი ჯდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიების აქტიური დანერგვა მსოფლიოს მოწინავე და განვითარებად ქვეყნებში დიდი ინტენსივობით მიმდინარეობს, ჩვენ კი ამ პროცესს, როგორც ლამის ყველაფერს, მთლად კუდში თუ არ მივდევთ, ყოველ შემთხვევაში საგრძნობლად ჩამოვრჩებით, რაც არც არის გასაკვირი მრეწველობის განვითარების „სამუხრუჭე" პერიოდში. ამდენად **პროექტი „თანამედროვე ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიებისა და განათების ინიციატივა", რომელიც სხვადასხვა ორგანიზაციაში ენერგეტიკული აუდიტის ჩატარებას, ამ ტიპის აუდიტის სახელმძღვანელოს შექმნას, რეგიონებში USAID-ისა და „ბრიტიშ პეტროლეუმის" მოძრავი „ენერგავტობუსის" დახმარებასა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სათანადო ლაბორატორიის აღჭურვას გულისხმობს, დიდი პრაქტიკული და, ამავე დროს, საქართველოში ამ იდეების პოპულარიზატორული მნიშვნელობა აქვს.** ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დადებითი მომენტი ის არის, რომ მათი გამოყენება ხელს უწყობს არა მარტო ენერგიისა და, შესაბამისად, ფინანსური სახსრების დაზოგვას, არამედ გარემოს დაცვასაც. ეკონომიურად დიდად მომგებიანია ამ ტექნოლოგიების გამოყენება ასევე საყოფაცხოვრებო პირობებში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის „თანამედროვე ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიებისა და განათების ინიციატივის" განხორციელებით, მომგებიანი ენერგოეფექტიანი ღონისძიებების იდენტიფიცირებით მნიშვნელოვანი ხელშეწყობა ექნება როგორც საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტს, ასევე საყოფაცხოვრებო სექტორსა და საავადმყოფოებს. მომავალში აღნიშნული პროექტი, შესაძლოა, ევროპის განვითარებისა და ხელშეწყობის ბანკის პროექტის „ენერგოკრედიტის" ფარგლებში დაფინანსდეს.

კიდევ ერთხელ ხაზი გვინდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ პროექტის „თანამედროვე ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიებისა და განათების ინიციატივის" განხორციელებამ აუცილებლად საგრძნობი სარგებელი უნდა მოუტანოს როგორც სამრეწველო ობიექტებსა და ორგანიზაციებს, ასევე თავად მოსახლეობას. საგულისხმოა, რომ **პროექტის ფარგლებში, დაინტერესებული საავადმყოფოებისთვის გათვალისწინებული ტექნიკური დახმარება გულისხმობს ენერგეტიკული აუდიტის ჩატარებასა და ამ ობიექტებზე რა სახეობის ენერგოეფექტიანი ღონისძიებების გატარებაა საჭირო და, კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, რომელი ტექნიკური აღჭურვილობის მოდერნიზება იქნება უფრო მეტი სარგებლის მომტანი. გარდა ამისა, აგრეთვე, გათვალისწინებულია ამ დაწესებულებებისთვის განსახორციელებელი როგორც მოკლე, ასევე გრძელვადიანი ენერგოეფექტიანი ღონისძიებების ფინანსურ-ეკონომიკური ანალიზი.** პროექტის სრულფასოვნად განხორციელების შედეგად, როგორც რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული ალბათობით ვარაუდობენ, გამოთავისუფლებული, გნებავთ, დაზოგილი ფინანსური სახსრებით საავადმყოფოებს ინფრასტრუქტურის, აღჭურვილობისა და მომსახურების ხარისხის ამაღლების შესაძლებლობას მისცემს, რაც ასე აკლია სამამულო სამედიცინო დაწესებულებათა აბსოლუტურ უმრავლესობას.

ენერგოაუდიტთან პარალელურად პროექტის ფარგლებში დაგეგმილია საავადმყოფოების ადმინისტრაციული მართვისა და მომსახურე პერსონალის ტრენინგები, ვინც მუშაობის პროცესში ენერგიის დაზოგვისა და მისი მაქსიმალურად ეფექტიანად მოხმარების ხერხებს შეასწავლის. პროექტის „თანამედროვე ენერგეფექტიანი ტექნოლოგიებისა და განათების ინიციატივის" ფრთაშესხმის ხიბლი, გარდა ზემოაღნიშნულისა, იმაშიც მდგომარეობს, რომ პროექტის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია, რომ **ენერგოაუდიტის დასრულების შემდეგ საავადმყოფოებს იმ ბიზნესგეგმების შემუშავებაში დაეხმარებიან, რომლებიც მათ გამოადგებათ ენერგოეფექტიანი ღონისძიებებისთვის საჭირო ფინანსების მოსაზიდად და ამ მიზნით კომერციულ ბანკებთან შუამდგომლობას.** გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიებისა და მათი გამოყენების, მათი სარგებლიანობის თაობაზე სათანადო ინფორმაციის გავრცელება. თუმცა, ჩვენი აზრით, ყველაზე მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ გარდა ზემოაღნიშნულისა, **პროექტით გათვალისწინებულია ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიების დანერგვის ნაწილობრივი დაფინანსებაც.**

არის კიდევ ერთი, ჩვენი აზრით, ერთობ საგულისხმო გარემოება, რომელმაც მომავალში მნიშვნელოვანი სიკეთე უნდა მოიტანოს. ესაა პროექტის ფარგლებში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სამშენებლო და ენერგეტიკის ფაკულტეტების სასწავლო პროგრამებში ენერგოაუდიტისა და ენერგომენეჯმენტის დამატებით საგნებად შეტანა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ პროექტის ფარგლებში უნივერსიტეტის სტუდენტებს ახალი, ენერგოაუდიტორის სპეციალობის დაუფლება შეეძლებათ. ვარაუდობენ, რომ შორს არ არის ის დრო, როცა საკუთარი ენერგომენეჯერის ყოლა, რომელიც ენერგიის მოხმარების ოპტიმიზაციაზე იზრუნებს, ყველა სამამულო საწარმოში თუ ორგანიზაციაში წესად გადაიქცევა.

აღსანიშნავია ისიც, რომ თეორიული მასალის დამუშავებასთან ერთად ჩატარდება სტუ-ს კორპუსების ენერგოაუდიტი, რომლის შედეგების მიხედვით დაიდება ეკონომიკური სარგებლიანობის ანგარიში, რომელშიც ასახული იქნება ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიების გამოყენების პოზიტიური მომენტები და დანაზოგი სახსრების ოდენობა. პროექტის პროგრამით უნივერსიტეტის ექვსი კორპუსის ენერგოაუდიტია გათვალისწინებული – ორის პირველ წელს, დანარჩენების – მომდევნო წელს და, რაც მთავარია, ამ პროცესში სტუდენტების აქტიური მონაწილეობაცაა გათვალისწინებული. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ პროექტის განხორციელება სტუ-ში ენერგოეფექტიანი ლაბორატორიის სათანადო ტექნიკურ აღჭურვასაც გულისხმობს.

ვფიქრობთ, რომ ჩვენი მკითხველისთვის პროექტის განსაკუთრებით ის ასპექტია საინტერესო, რომელიც საყოფაცხოვრებო სექტორში ენერგიის მოხმარების ოპტიმიზაციას ეხება. მისი ფრთაშესხმა მოხდება დედაქალაქის მერიასთან არსებულ „თბილისის კორპუსთან" და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით. ქალაქის მასშტაბით ერთობლივად შეირჩა თორმეტი სხვადასხვა ტიპის შენობა, საცხოვრებელი სახლი, სადაც საერთო მოხმარების ფართების (მაგალითად, სადარბაზოების, ლიფტების, მთლიანად იმ ადგილების, რომლებსაც ერთ სახლში მცხოვრები ადამიანები ერთობლივად გამოიყენებენძ პროექტის „თანამედროვე ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიებისა და განათების ინიციატივის" ფარგლებში აუდიტს ჩაატარებენ. სადემონსტრაციო პროექტების მიზანი კი მოსახლეობისთვის თვალსაჩინოდ იმის დემონსტრირებაა, თუ რა სარგებლის მოტანა შეუძლიათ მარტივი ენერგოეფექტის მეთოდების გამოყენებას.

„ენერგოავტობუსის" არსი კი ის არის, რომ პროექტის განხორციელების პროცესში ჩაერთოს ასევე საქართველოს პროვინციების მოსახლეობაც. ამ იდეის ავტორები ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAIDძ და კომპანია „ბრიტიშ პეტროლეუმის" საქართველოს წარმომადგენლობაა. „ენერგოავტობუსი" მობილურ საგამოფენო დარბაზს წარმოადგენს, სადაც წარმოჩენილია ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიებისა და განახლებადი ენერგიის მოდელები.

აღსანიშნავია, რომ **საქართველოს სამრეწველო სექტორისა და მოსახლეობისთვის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტიანი პროექტების საინვესტიციოდ 35 მილიონი დოლარის ოდენობის საკრედიტო ხაზი გამოყო.** გარდა ამისა, ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებით 15- პროცენტიანი სუბსიდირება მოხდება კომპანია „ბრიტიშ პეტროლეუმის" მიერ, რასაც კომერციული ბანკები გასცემენ.

ვარაუდობენ, რომ ამ პროექტის განხორციელება დიდ სარგებელს მოუტანს როგორც დედაქალაქს და მოსახლეობას ენერგიაზე გაწეული ხარჯის შემცირების მხრივ, ასევე თავად ენერგეტიკის დარგს, რაც ელექტროენერგიის დაზოგვით გამოიხატება.

**ოთარ ტურაბელიძე**

*P. S. გასულ კვირას ევროპა „მდგრადი ენერგეტიკის კვირას" აღნიშნავდა, საქართველოში კი უფრო მორიდებულად, კვირეულის მაგივრად დღე აღინიშნა. სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში" გამართულ კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ენერგიის დაზოგვის მიმართულებით თბილისის მერიას მანამდე არასდროს უმუშავია, ხაზი გაესვა იმას, რომ ენერგოგანვითარების მთავარი ამოცანაა ქალაქის მზარდი ენერგომოხმარებისა და ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამ მხრივ ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ნორვეგიელ პარტნიორებთან. თბილისი უნდა შეუერთდეს სითბური გაზების ატმოსფეროში გაფრქვევის შემზღუდავ მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტს, ხოლო წლის დამლევამდე შემუშავდება დედაქალაქის მდგრადი ენერგეტიკის პროგრამა.*

*ო. ტ.*

კახეთის მხარე

# ონკოლოგიური ავადმყოფი გამგეობასა და სოციალურ სააგენტოს უყურადღებობაში ადანაშაულებს

## „სიკვდილის პირას ვარ და არავინ მეხმარება, გასაყიდიც აღარაფერი დამრჩა"...

**დედოფლისწყაროში, ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მცხოვრები მეორე ჯგუფის ინვალიდი მიხეილ ბაღდასარიანი, რომელიც ონკოლოგიური ავადმყოფია, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობასა და სოციალური მომსახურების სააგენტოს უყურადღებობასა და მისდამი გამოჩენილ გულგრილობაში ადანაშაულებს. მისი თქმით, დახმარების სათხოვნელად მესამე წელია დაატარებენ, თუმცა სახელმწიფოსგან თეთრიც არ მიუღია... მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კი ყოველდღიურად მძიმდება.**

„კანის კიბო მაქვს, ყოველ ორ კვირაში თბილისის ონკოლოგიურ კლინიკაში მიხდება სიარული. რაც რამე გასაყიდი მებადა, ყველაფერი გავყიდე და წამალ-ექიმში დავხარჯე. აღარაფერი მაქვს. ნათესავებიც მეხმარებოდნენ, მაგრამ ისინიც როდემდე დამეხმარებიან, ყველას თავისი ოჯახი აქვს. სოციალურ სააგენტოში მივედი და აგენტმა გოგიტა რობიტაშვილმა ასე უხეშად მითხრა: ეზოში თალარი ხომ გაქვსო, ტელევიზორიც გაქვსო... საარსებო შემწეობა არ მომცეს. მერამდენე წელია ვიბრძვი, მაგრამ ტყუილად დამატარებენ. ყველაფერს გეფიცებით, უბრალო ტელევიზორი ახლობლებმა მიყიდეს, რომ ამ ჩემს ავადმყოფობას გული გადავაყოლო. ზოგჯერ ისე ძალიან ცუდად ვხდები და ისეთი ძლიერი შეტევები მაქვს, არა მგონია დიდხანს გავძლო. პოლისი მაინც მქონოდა, ცოტა ვითარებას შემიმსუბუქებდა... არადა დახმარება ისეთ ოჯახებს ეძლევათ, გაკვირვებული დარჩები... დედოფლისწყაროელი კაცი ვარ, აქ დავბერდი, ვინ რითი სულდგმულობს ყველაფერი ვიცი, მაგრამ... მე მომჩივანი არასოდეს ვყოფილვარ, მხოლოდ იმას ვიტყვი: ადამიანებო, ერთმანეთის კი არა – ღმერთის უნდა გეშინოდეთ! ასე ყველაფრის გაბითურება არ შეიძლება. სამართალი აღარ არის?" – დახმარების უსასრულო მოლოდინში აღშფოთებას ვერ ფარავს პენსიონერი.

ბაღდასარიანის ოჯახმა ყველაფრის მიუხედავად ბოლო შემოწმებისას მაღალი ქულა მიიღო, რის გამოც დახმარება არ დაენიშნა. ვითარების გასარკვევად დედოფლისწყაროს სოციალური სააგენტოს ხელმძღვანელს ზურაბ ნატროშვილს ვესაუბრეთ. მან დასახელებული ოჯახი მონაცემთა ბაზაში გადაამოწმა.

ნატროშვილმა გაკვირვება გამოხატა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ვერ მოხერხდა მათთვის ამ დრომდე შემწეობის დანიშვნა. თუმცა, მას რატომღაც მიავიწყდა, რომ ხსენებული ოჯახის დეკლარაცია სწორედ მისი აგენტების მიერ გახლავთ შევსებული...

„ზურა ნატროშვილი თითქოს ძალიან შეწუხდა, 2 წლის წინათ შეუმოწმებიათო... სასწრაფოდ თავიდან დაწერე განცხადება და 1 კვირაში გადავამოწმებთო. ძველ მონაცემებშიც ისეთი არაფერია და ვერ ვხვდები მაღალი ქულები რატომ გაქვსო. მე რა ვიცი რატომაა მაღალი ქულები. მე კი დახმარების გარეშე დავრჩი და მაგათ რაც უნდათ, ის ჩაწერონ... თანხის გამოყოფა ჩემს დასახმარებლად არც გამგეობიდან მოხერხდა. არადა, ვიცი, რომ ონკოლოგიური ავადმყოფებისთვის ბიუჯეტიდან გარკვეული ფულადი დახმარება ირიცხება. მართლა მძიმე მდგომარეობაში ვარ, სიკვდილის პირას ვიმყოფები და არავინ მეხმარება, – ამბობს ბაღდასარიანი.

ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ის თბილისში სამკურნალოდ წასვლას ვეღარ ახერხებს და კვლავაც დახმარების მოლოდინშია. მშველელი კი ამ დრომდე არ ჩანს...

სოციალური მომსახურების სააგენტოს კახეთის რეგიონალური სამსახურის ხელმძღვანელის ოთარ სესიკაშვილის განცხადებით, დედოფლისწყაროელი სოცაგენტების დარღვევების აქტები უკვე თბილისში, ცენტრალურ ოფისში გადაიგზავნა და სპეციალური კომისია რეაგირებას უახლოეს დღეებში მოახდენს. სავარაუდოდ, დედოფლისწყაროს სოციალური მომსახურების სააგენტოდან რამდენიმე აგენტის დათხოვნა მოხდება.

შეგახსენებთ: სულ ახლახან, ცნობილი გახდა, რომ აგენტების პირადი ინტერესებისა და მიკერძოებული მუშაობის გამო დედოფლისწყაროში შეძლებული ფერმერების ოჯახები ყოველთვიურ დახმარებას იღებდნენ, მაშინ, როცა უამრავი მართლა გაჭირვებული ადამიანი შემწეობის გარეშე რჩება და შიმშილით იხოცება. დედოფლისწყაროში შემოწმებაზე ჩამოსულმა სესიკაშვილმა ორიოდ თვის წინათ განაცხადა, რომ დაუსჯელი არავინ დარჩებოდა და ყველა მათგანის პასუხისმგებლობის საკითხი დაისმებოდა. სესიკაშვილმა მაგალითად ყვარლის ორგანიზაცია მოიყვანა, სადაც გადაცდომების გამო სამსახურიდან თითქმის მთელი შემადგენლობა დაითხოვა.

ოთარ სესიკაშვილი: „დედოფლისწყაროში აღმოჩენილი სოციალური აგენტების დარღვევების შესახებ შედგენილია შემოწმების აქტები. მინდა გითხრათ, რომ ეს აქტები უკვე წარვადგინეთ თბილისში, ჩვენს ცენტრალურ ოფისში. სპეციალური კომისია უკვე მუშაობს და შესაბამის ზომებს მალე მიიღებს. პირადად მე, არც ერთ დარღვევას რეაგირების გარეშე არ დავტოვებ!!!

მაგალითი: დედოფლისწყაროში, ლესელიძის ქუჩაზე მცხოვრები ნათელაძეების ოჯახი, რომლებიც ათობით ჰექტარ მიწას და რამდენიმე ბინას ფლობს, ყოველთვიურ დახმარებას იღებდა. ოჯახს, რომელიც პურის ბიზნესს მისდევს, ლატაკების შემწეობა სოცაგენტ გია გუგენიშვილის მიერ შედგენილი ყალბი დეკლარაციის მიხედვით დაენიშნა...

**ილია მარტყოფლიშვილი,**
**კახეთიდან**

წლები

# ამ სახელს შთამომავლობა შემოინახავს



## გურამ თოფურია – 80

**შესრულდა 80 წელი გამოჩენილი ქართველი კავკასიოლოგის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს მეცნიერებათა, ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გურამ თოფურიას დაბადებიდან. მან 50 წელი იღვაწა ნაყოფიერად, როგორც მეცნიერმა და მეცნიერების ორგანიზატორმა, და თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებაში.**

გურამ თოფურია დაიბადა 1930 წლის 27 მარტს სახელოვანი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, გამორჩეული მოქალაქისა და მომხიბლავი ადამიანის, აკადემიკოს ვარლამ თოფურიას ოჯახში. მემკვიდრეობითმა თვისებებმა და ოჯახურმა გარემომ, ბუნებრივია, გადამწყვეტი როლი ითამაშა გ. თოფურიას პიროვნების ფორმირებაში, პიროვნებისა, რომელშიც ორგანულად იყო შერწყმული დიდი ნიჭი და შინაგანი კულტურა, კვლევაძიების აკადემიური სტილი და მეცნიერული კეთილსინდისიერება, მრავალმხრივი ინტერესები და პროფესიონალიზმი, პრინციპულობა და ადამიანური სითბო, კორექტულობა, თავაზიანობა, გულისხმიერება...

გ. თოფურიამ 1949 წელს დაამთავრა თბილისის ვაჟთა მეშვიდე საშუალო სკოლა, ხოლო 1954 წელს წარჩინებით – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილება. 1954-57 წლებში აკად. არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაში კავკასიური ენების სპეციალობით.

1957 წელს მუშაობა დაიწყო ენათმეცნიერების ინსტიტუტში და 50 წელი ერთგულად და ნაყოფიერად იმუშავა ამ სამეცნიერო დაწესებულებაში; სხვაგან არსად უმუშავია, თუმცა ამის შესაძლებლობა ჰქონდა... სამეცნიერო კარიერის ყველა საფეხური გაიარა: 1957-60 წლებში იყო მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1960-66 წლებში – ინსტიტუტის სწავლული მდივანი, 1966-73 წლებში – აღნიშნული განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; განსაკუთრებით გამოჩნდა გურამ თოფურიას სამეცნიერო-ორგანიზატორული ნიჭი 1973-87 წლებში, როდესაც ის სამეცნიერო დარგში ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ მუშაობდა; 1987 წლიდან ის სათავეში ჩაუდგა და სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებას.

გ. თოფურია იყო სხვადასხვა სამეცნიერო საბჭოს, საორგანიზაციო კომიტეტის, სამეცნიერო ჟურნალისა და კრებულის სარედაქციო კოლეგიის წევრი, საკვალიფიკაციო ნაშრომების ხელმძღვანელი, კონსულტანტი.

გ. თოფურიას მიერ დაცული ორივე სამეცნიერო ხარისხი – საკანდიდატოცა (1959წ და სადოქტოროც (1988წ, იყო სანიმუშო, გამორჩეული, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში არჩევა (1997წ და ღირსების ორდენით დაჯილდოება – სავსებით დამსახურებული.

თავისი 50-წლიანი სამეცნიერო მოღვაწეობის განმავლობაში გ. თოფურიამ მრავალი მაღალი დონის სამეცნიერო ნაშრომით გაამდიდრა ქართული მეცნიერება. ორი მონოგრაფია განსაკუთრებული მნიშვნელობისაა: „ლეზგიური ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები“ (1959წ და „ბრუნების მორფოლოგია დაღესტნურ ენებში“ (1995წ. პირველი უნიკალური თვისებების მქონე ლეზგიური ზმნის აღწერით ანალიზს მიეძღვნა და იმ დროს გამოიცა, როდესაც ჩვენში მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესახებ მხოლოდ ოთხი მონოგრაფია არსებობდა (ქ. ლომთათიძისა და გ. როგავასიძ. მეორეში ავტორმა დაღესტნურ ენათა შედარებითი მორფოლოგიის უმნიშვნელოვანესი უბნის – სახელის მორფოლოგიის – ღრმა და საფუძვლიანი ანალიზი წარმოგვიდგინა. ამ ნაშრომმა ქართველი და უცხოელი კავკასიოლოგების მაღალი შეფასება დაიმსახურა. ბუნებრივი იყო, რომ ამ ნაშრომისათვის გ. თოფურიას არნ. ჩიქობავას სახელობის პრემია მიენიჭა. გ. თოფურიას არაერთი საყურადღებო ნაშრომი მიეძღვნა ქართველურ ენათა საკითხებსაც.

კავკასიოლოგებისათვის სამაგიდო წიგნად იქცა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესახებ არსებული საენათმეცნიერო ნაშრომების ბიბლიოგრაფია, რომელიც გ. თოფურიამ გ. კაჭარავასთან ერთად შეადგინა (1958წ. ამ ნაშრომის გაგრძელებაა სისრულითა და სიზუსტით გამორჩეული კავკასიოლოგიური საენათმეცნიერო ლიტერატურის ბიბლიოგრაფია, რომლის შედგენასაც გ. თოფურიამ დიდი დრო და ენერგია შეალია და რომლის ცალკე გამოცემაც ენათმეცნიერების ინსტიტუტს აქვს განზრახული (უკვე მომზადებულია ელექტრონული ვერსიაძ.

ღირსშესანიშნავია ის ფაქტი, რომ ვარლამ და გურამ თოფურიების ბიბლიოთეკა, გ. თოფურიას ოჯახის სურვილის შესაბამისად, გადაეცა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტს, სადაც მათი სახელობის კაბინეტი დაარსდა.

გ. თოფურიას დიდი და დამსახურებული ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის სამეცნიერო წრეებში როგორც სამეცნიერო მიღწევების გამო, ისე იმ ღვაწლისათვის, რაც მას მიუძღოდა სამეცნიერო დაწესებულებათა და მკვლევართა შორის თანამშრომლობის განვითარების საქმეში.

გურამ თოფურიას მჭიდრო კავშირი ჰქონდა უცხოელ კოლეგებთან, რომლებიც დიდად აფასებდნენ მის სამეცნიერო მოღვაწეობას. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ მას მრავალი წლის განმავლობაში ევროპის კავკასიოლოგთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად ირჩევდნენ.

უკვე ოთხი წელია, რაც გურამ თოფურია აღარ არის ჩვენს შორის, მაგრამ მის ახლობლებს, მეგობრებს, კოლეგებს არ განელებიათ ის წუხილი, რაც მისმა გარდაცვალებამ გამოიწვია... სანუგეშო ისაა, რომ გ. თოფურიას სახელს შთამომავლობა და მეცნიერების ისტორია სამუდამოდ შემოინახავს.

**ვაჟა შენგელია,**
**პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი**

პრეზენტაცია

# ალეკო წიწილაშვილის „წერის რეცეპტი“

**„იყო დრო, ვარსკვლავების მოწყვეტას ზეცაში ვცდილობდი, თუმცა აღმოვაჩინე, რომ ვარსკვლავები, აქ, ჩვენს გარშემოც ბლომადაა მობნეული, მე ახლა მათ ვაგროვებ, გავჩორკნი ისე, რომ მათი სილიცლიცე იოლი შესამჩნევი გახდეს“.**

ამ სიტყვების ავტორს ვარსკვლავობის ამბიცია არ აქვს, ამბობს, რომ ქართულ პროზასა და პოეზიას სიკაშკაშე უიმისოდაც ნამდვილად არ აკლია. ის კი „ჯერაც გასაჩორკნია, რომ უფრო შესამჩნევი გახდეს“. უბრალოდ, უყვარს წერა, წერს კიდეც და როგორც ამბობენ – არცთუ ურიგოდ.



მისი მოთხრობები ხალასი იუმორით გამოირჩევა, მისი ლექსები – განცდით, რეალურობით. იგი მწერლობაში ახლად ფეხადგმული ალეკო წიწილაშვილია.

პირველი ნაბიჯები უკვე კარგა ხანია გადადგა, მაგრამ მისი წიგნების გამოცემა მხოლოდ ახლა მოხერხდა. **ალეკო წიწილაშვილმა** ლექსების კრებულს **„მზე არის ჩემში“** დაარქვა, ამბიციაში ნუ ჩამითვლით ასეთ სათაურს, რადგან ვფიქრობ, რომ მზე ყველა ადამიანშია, მაგრამ ჩვენზეა დამოკიდებული რამდენად მოკაშკაშე იქნება იგიო. მოთხრობების წიგნს უწოდა „ღიმილი ტიროდა“, საკუთარ თავს კი – თოვლის კაცი. რატომ თოვლის კაცი? მწერლური ახირებითო, თქვა და ჩაიცინა, მაგრამ იმედი მაქვს, ჩემი შემოქმედება წლების შემდეგ თოვლივით არ გაქრებაო. ცალ-ცალკე წიგნად რატომ გამოსცა მოთხრობები და ლექსები? მოთხრობებმა ლექსები დამიჩაგრესო, არადა, პოეზიაზე გაცილებით მეტს ვფიქრობ და ვზრუნავო.




მისი წიგნები მცირე ტირაჟით დაიბეჭდა, მაგრამ ავტორი მაინც კმაყოფილია, არა იმიტომ, რომ მეტის გაკეთება არ შეეძლო, არამედ იმიტომ, რომ მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. მეგობრების დახმარებით მოახერხა, რომ შემოქმედების მცირე ნაწილი ფართო საზოგადოებისთვისაც გაეცნო.

პრეზენტაცია სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა. მეგობრები და ახლობელი ადამიანები ღელავდნენ, უცნობებს მოლოდინი დასთამაშებდათ სახეზე. დაბნეული მისალმების შემდეგ თავისი ლექსი პირველმა წაიკითხა: „ჩვენთან გოგონები მაყვალზე დადიან, ბურდი უკაწრავთ ფეხებს, მერე და რა ბიჭი ხარ, იმ მაყვლისფერ თვალებს თუ არ შეიფერებ?“

როგორც ჩანს, ალეკო წიწილაშვილმა ნამდვილად შეიფერა და შეითვისა ის სამყარო, რომელშიც ცოცხლობს, პატარა იმერული ოდები, ორღობეები, იუმორი და სევდა... ღიმილი ტიროდა და იმიტომ.

სულ რამდენიმე ლექსი წაიკითხეს, პატარა ჩანახატები, იყო მილოცვები და კეთილი სურვილები. იმედია, რომ მომავალში უფრო დამკვიდრებულ, გაბედულ ნაბიჯებს ვიხილავთ მისგან. ახლა რომანზე მუშაობს და ცოტა ხნით დასვენებას აპირებს. მინდა სათქმელი დამიგროვდესო, იმართლებს თავს და იმედოვნებს, რომ სანამ ის „ისვენებს“, მისი პატარა კრებული მკითხველის გულში დარჩება და თავის საქმესაც გააკეთებს. წლებთან ერთად შეხედულებები იცვლება და მინდა ცოტა სხვა თვალით შევხედო სამყაროსო.

მის მოთხრობებში ნამდვილად იგრძნობა ნოდარ დუმბაძის გავლენა, არ ბაძავს, უბრალოდ მართლა ისეთ გარემოში ცხოვრობს, როგორზეც წერს. წერს სასაცილო ამბებს. სიცილი ცუდი არ არის და ყველას სჭირდება, ამიტომ მისი მოთხრობებით ადამიანებს კიდევ უფრო მეტი საზრუნავით არ ტვირთავს:

„– ბიჭო, მოთხრობებსაც წერ? – მოულოდნელად მკითხა ბიძამ. ხმა არ ამომიღია, მხოლოდ თავი დავუქნიე.

– წერის რეცეპტი მაინც თუ იცი?

დავიბენი და გაკვირვებული სახით შევხედე.

– ჰმ, რას გამოშტერდი, რა უნდა, შე ბოთე, მაგას? აიღე სიყვარული, დადევი სითბოზე, მოაყარე იუმორი და შეუნთე გული. რამდენიმე წუთში სასიამოვნო სიკეთის სუნს გაუშვებს.

– ბიძია, ვინმეს, რომ პირი დაწვას მაგ კერძმა?

– რას ვიზამთ შვილო, ზოგს პირი დაეწვება და ზოგსაც კუჭი აეშლება, მაგრამ, რაც მთავარია, გემო არ დაავიწყდებათ“.

ტენდენციურობაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ალეკოს „კერძების“ გემო, მართლაც, დაუვიწყარია.

**ანა კენჭოშვილი**

ინფორმაცია

## საგამოძიებო დეპარტამენტმა ფულის გათეთრების ფაქტი გამოავლინა

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგამოძიებო დეპარტამენტის, სამეგრელო-ზემო სვანეთის საგამოძიებო ჯგუფის თანამშრომლებმა დააკავეს ზუგდიდში მცხოვრები 30 წლის გელა ფეთელავა.**

**სამართალდამცავების განცხადებით, დაკავებულს ბრალად ედება დიდი ოდენობით უკანონოდ მოპოვებული 915,77 $მ^3$ ხე-ტყის პირველადი გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტის შეძენა, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) მიზნით ყალბი დოკუმენტის დამზადება-გამოყენებით საქართველოს საბაჟო საზღვარზე უკანონოდ გადატანა.**

**დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 362-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 214-ე მუხლის მეორე ნაწილითა და სსკ-ის 194-ე მუხლის პირველი ნაწილით.**

## სამართალდამცავებმა „ექიმ-ნარკოლოგები“ დააკავეს

**სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს ფსიქოკორექციისა და ნარკოლოგიური ექსპერტიზის ცენტრის ექიმ-ნარკოლოგები: 1965 წელს დაბადებული მარინე ბეგაშვილი, 1962 წ.დ მანანა კეჟევაძე და 1965 წ.დ ეკა კორძაძე, აგრეთვე დაკავებულია ზემოაღნიშნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, 1955 წ.დ ნოდარ თარხნიშვილი და შპს „დეა ჩაფიჩაძის“ ფსიქოტროპული აფთიაქის მფლობელი, 1961 წ.დ თამარ სარდანაძე.**

**სამართალდამცავების განცხადებით, მათი სამუშაო მაგიდისა და ბინების ჩხრეკისას ამოღებულია უკანონოდ შეძენილი და მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებული დიდი რაოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ტრამადოლი“, რომელსაც იყენებდნენ არარეგისტრირებული პაციენტებისათვის კლინიკის გვერდის ავლით.**

**დაკავებულებმა დანაშაული აღიარეს. გამოძიება მიმდინარეობს სსკ-ის 260-ე და 264-ე მუხლებით. გამოძიებას აწარმოებს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აფხაზეთის მომავალი წლები

**მოსკოვი და სოხუმი ამზადებენ ათობით ახალ შეთანხმებას. ამის შესახებ განაცხადა რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა აფხაზეთის პრეზიდენტთან სერგეი ბაღაფშთან შეხვედრის დროს. პუტინი რესპუბლიკას დაჰპირდა ცენტრალური ბანკის დეკაპიტალიზაციის კრედიტს. სულ 2010 წლიდან 2012 წლამდე რუსეთი აფხაზეთს მისცემს 10 მილიარდ რუბლს. საანგარიშო პალატის ხელმძღვანელის სერგეი სტეპაშინის აზრით, ჯერჯერობით „კაპიკიც არ შემოსულა“. რუსეთის ფულის გარეშე კი, განაცხადა ბაღაფშმა, რესპუბლიკა ვერ შეძლებს „ნორმალურ ფუნქციონირებას“.**

პარასკევს რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი ნოვოოგარევოს თავის რეზიდენციაში შეხვდა აფხაზეთის პრეზიდენტს სერგეი ბაღაფშს, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში იმყოფებოდა მოსკოვში სამუშაო ვიზიტით. ეს აფხაზეთის ლიდერის მეორე ჩამოსვლაა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, რომელიც შარშან დეკემბერში გაიმართა.

მოლაპარაკების დროს განიხილებოდა ორმხრივი თანამშრომლობის განვითარება ეკონომიკაში, სოციალურ სფეროში, კომუნიკაციებსა და თავდაცვაში. საუბრის დასაწყისში პუტინმა აღნიშნა, რომ ქვეყნები ამზადებენ დაახლოებით 30 ახალ შეთანხმებას. ადრე მოსკოვმა და სოხუმმა უკვე მოაწერეს ხელი 34 შეთანხმებას. აფხაზეთის დამოუკიდებლობა რუსეთმა აღიარა 2008 წლის აგვისტოში ამიერკავკასიაში ტრაგიკული მოვლენების შემდეგ.

„ეს არის ის აუცილებელი სამართლებრივი ბაზა, რომლებიც ჩვენ გვჭირდება, რათა მოვაწესრიგოთ ნორმალური ურთიერთმოქმედება ეკონომიკაში, პოლიტიკურ და სამხედრო სფეროში“, – აღნიშნა პუტინმა.

პუტინმა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი უწოდა შეთანხმებას აფხაზეთში რუსეთის სამხედრო ბაზის შესახებ. ხელშეკრულებას ხელი მოეწერა ბაღაფშის მოსკოვში თებერვლის ვიზიტის დროს. „ხელშეკრულება უკვე პრაქტიკულად ხორციელდება“, – განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

შესაბამის ხელშეკრულებას რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ხელი მოაწერა 17 თებერვალს ბაღაფშთან შეხვედრის დროს. დოკუმენტის შესაბამისად რუსეთის სამხედრო ბაზის შტაბი განთავსდება გუდაუთში. ობიექტის პირადი შემადგენლობა 1,7 ათას კაცს შეადგენს. რუსეთს შეეძლება ააგოს და სრულყოს ბაზის ინფრასტრუქტურა, რაც დაეხმარება გაზარდოს ჯარების ერთობლივი დაჯგუფება როგორც მშვიდობიან, ისე სამხედრო პერიოდში. გათვალისწინებულია სამხედრო მოსამსახურეთა ერთობლივი სწავლება და ერთობლივი მოქმედებანი სამხედრო კავშირურთიერთობისა და დაზვერვის, ტექნიკური და ზურგის უზრუნველყოფის საკითხებში.



ხელშეკრულება დაიდო 49 წლით 15-წლიანი პერიოდების ავტომატური გაგრძელებით. მასშივე გათვალისწინებულია „ურთიერთმოქმედებანი საკითხებში, რომლებიც წყდება სამხედრო-საზღვაო ძალების, საზღვაო კომუნიკაციების უზრუნველყოფისა და უშიშროების დარგში ზღვაზე“. შარშან დეკემბრიდან აფხაზეთის ოჩამჩირის ნავსადგურში არიან რუსეთის სასაზღვრო თავდაცვის კატარღები „სობოლი“ და „მანგუსტი“.

ვლადიმერ პუტინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შემდეგი ნაბიჯი უნდა გახდეს სამართლებრივი ბაზის შექმნა ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებისთვის.

თავის მხრივ, ბაღაფშმა აღნიშნა, რომ ქვეყნები „კარგად მოძრაობენ ურთიერთობათა სამართლებრივი ბაზის განმტკიცების მიმართულებით“. „ის, რაზეც ჩვენ ხელი მოვაწერეთ სამხედრო ბაზასთან და სასაზღვრო სამსახურთან დაკავშირებით, – ყველაფერი უკვე მუშაობს“, – თქვა მან.

რაც შეეხება ეკონომიკურ დახმარებას, პუტინის სიტყვებით, უახლოეს პერიოდში რუსეთი გამოუყოფს აფხაზეთს კრედიტს 700 მილიონი რუბლის ოდენობით რესპუბლიკის ცენტრალური ბანკის დეკაპიტალიზაციის მიზნით.

აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის ხელშეწყობის გეგმა 2010-2012 წლებისთვის დაამუშავა რუსეთის რეგიონების სამინისტრომ. ყველა საკითხს წყვეტს აფხაზეთთან სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისია. როგორც ხუთშაბათს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა სერგეი ნესტერენკომ აღნიშნა, კომისიის პირველი სხდომა უახლოეს დღეებში გაიმართება, მთავარი თემა იქნება გეგმის დამტკიცება მთლიანად 10 მილიარდი რუბლის ოდენობით.

ამ თანხით რესპუბლიკაში შექმნიან სატრანსპორტო-ლოგისტურ ცენტრს. იგი გამოადგებათ აგრეთვე სოჭში ოლიმპიური ობიექტების მშენებლობისთვის. დანარჩენი სახსრები წავა ტურისტული ზონების კეთილმოწყობაზე, „სოციალურ-კულტურული სფეროს ობიექტების აღდგენაზე, საყოფაცხოვრებო-კომუნალური მეურნეობის განვითარებაზე, ადმინისტრაციული შენობებისა და ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტების მშენებლობაზე“.

პუტინთან შეხვედრის დროს ბაღაფშმა ასევე დიდი ყურადღება დაუთმო საფინანსო საკითხებს. მან განაცხადა, რომ დადგა დრო „ურთიერთობანი გადავიტანოთ ეკონომიკურ სიბრტყეზე“.

„მთავარია არ გავაჭიანუროთ დრო, დრო ცოტა გვაქვს, ჩვენ ვიცით ჩვენი პრობლემები. საჭიროა სწრაფად შევუდგეთ ყველა ამ საკითხის რეალიზაციას, – გვაფრთხილებს აფხაზეთის ლიდერი. – ჩვენთვის მთავარია ავიღოთ კარგი სტარტი: შევქმნათ ინფრასტრუქტურა, ეკონომიკა, რომელიც ნაყოფს გამოიღებს, რათა შევძლოთ ბიუჯეტის შევსება და გავიდეთ სახელმწიფოს ნორმალურ ფუნქციონირებაზე“.

**ანდრეი რეზჩიკოვი**

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**მოსკოვში მომხდარი აფეთქებების გამო მინსკის მეტროში მიღებულია უშიშროების ზომები**

მეტროპოლიტენის დასაცავად გამოყვანილია მილიციის დამატებითი ძალები, გაძლიერებულია პატრულირება მეტროპოლიტენის სადგურებსა და გადასასვლელებში.

* * *

**უკრაინის საელჩო ეძებს მოსკოვში მომხდარი ტერაქტის შედეგად დაღუპულებში უკრაინელ მოქალაქეებს**

შესაბამისი დავალება მიეცა უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს. უკვე ცნობილია, რომ დაზარალებულთა შორის არის ერთი უცხოელი – ეს არის ფილიპინელი მოქალაქე 39 წლის პონტინგ მაფე. ორი აფეთქების შედეგად დაიღუპა 30-ზე მეტი კაცი, ათობით დაჭრილია.



* * *

**პრეზიდენტი ბარაკ ობამა შეხვდა ჯარისკაცებს ავღანეთში**

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მათი ამოცანაა – დაეხმარონ ავღანელებს მოაწყონ დიდი ჯაფით მოპოვებული მშვიდობიანი ცხოვრება, აგრეთვე დაიცვან ამერიკის უშიშროება. ავღანეთის პრეზიდენტს ხამიდ კარზაის მან მოუწოდა ებრძოლოს კორუფციას და ნარკოტიკების ბრუნვას. კარზაი ჩავა ამერიკის შეერთებულ შტატებში მაისში მოლაპარაკებისთვის.



* * *

**ჩილეში მოხდა ახალი ძლიერი მიწისძვრა, მისი სიმძლავრეა 6,1 ბალი**

დაზარალდა მაულის რეგიონი ქვეყნის სამხრეთით. მიწისქვეშა ბიძგის ეპიცენტრი ქალაქ ტალკიდან 100 კილომეტრშია... მიწისძვრები სიმძლავრით 6 ბალი რეგისტრირდება თითქმის ყოველდღე, ხოლო უფრო ძლიერები – კვირაში მინიმუმ ორჯერ.

* * *

**რუსეთსა და ტაჯიკეთს შორის შეწყდა საჰაერო მიმოსვლა**

რუსეთის ფედერაციის ტრანსპორტის სამინისტროში ბრალს ტაჯიკეთის ავიახელისუფლებას აკისრებენ, რომელმაც რუსეთის ავიასამსახურებს არ აცნობა საზაფხულო განრიგი, რათა შეეცვალათ შეთანხმება საჰაერო მიმოსვლასთან დაკავშირებით. ტაჯიკეთი ითხოვს, უარი ეთქვას „სამკუთხოვან მარშრუტებს“, როდესაც რეისი ჩადის ერთი ქალაქიდან, მეორე ქალაქში კი ბრუნდება.



# საქართველოს არასამხედრო სტრატეგია

**საქართველო შეეცდება კონფლიქტი დამოუკიდებლობის გამომცხადებელ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან გადაჭრას მოქალაქეთა შორის პირდაპირი კონტაქტების დახმარებით. ეს თბილისის ხელისუფლების ახალი სტრატეგიის ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი სტრატეგიაა, რომელიც ბერლინში წარმოადგინა საქართველოს რეინტეგრაციის მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა.**

მინისტრის სიტყვებით, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ოკუპანტი სახელმწიფოს უშუალო კონტროლის ქვეშაა. „რუსეთი ცდილობს გადააკეთოს ევროპის რუკა სამხედრო საშუალებებით“, – განაცხადა მან ჩვენს გაზეთთან საუბარში. საქართველოს ხელისუფლების ახალი სტრატეგია არ შეეხება ისეთ საჩოთირო საკითხებს, როგორიცაა უშიშროება და მომავალი სტატუსი, არამედ კონცენტრაციას აკეთებს პრაქტიკულ თანამშრომლობაზე: განზრახულია მოხდეს ორივე რეგიონის მოქალაქეთა მისვლა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სისტემებში, აღდგეს დანგრეული გზები და საავტობუსო მიმოსვლები.

სტრატეგიის მიზანია გამოყოფილი რეგიონების თანდათანობითი ინტეგრაცია და ანექსიის შეწყვეტა რუსეთის მხრიდან. ამასთან ერთად, საქართველო უარს აცხადებს პრობლემის სამხედრო გადაწყვეტაზე.

**კლაუდია ფონ ზალცენი**

DER TAGESSPIEGEL

# სამხედრო სიძლიერის განმტკიცებაში საქართველოს და ბალტიის ქვეყნებს პენტაგონი დაეხმარება

**პენტაგონმა განაცხადა, რომ მომზადებულია საქართველოს, ბალტიის ქვეყნების, აგრეთვე უნგრეთისა და ხორვატიის შეიარაღებული ძალების განმტკიცების პროგრამის რეალიზაციის გეგმა.**

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის სიტყვებით, ასეთმა პროგრამებმა ხელი უნდა შეუწყოს ამ ქვეყნების არმიების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, რომლებმაც თავიანთ მხრივ დახმარება უნდა გაუწიონ ამერიკას ავღანეთში ექსტრემისტებთან ბრძოლაში.

ადრე ბრიუსელში საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის დროს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა განაცხადა, რომ ნატოს პოლიტიკა საქართველოსთან დაკავშირებით არ შეცვლილა. რასმუსენის განცხადებით, „ალიანსი აღიარებს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას, და ნატოს მოკავშირეები გააგრძელებენ საქართველოს რეგიონების აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის უღიარებლობის პოლიტიკას“.

„ნატო აგრეთვე კვლავ მოუწოდებს რუსეთს შეასრულოს ექვსპუნქტიანი შეთანხმების თანახმად ნაკისრი ვალდებულებანი და ნება მისცეს საერთაშორისო მეთვალყურეებს – იმუშაონ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე“, – იტყობინება ალიანსის გენერალური მდივანი.

ჯერ კიდევ ორი წლის წინათ ნატოს წარმომადგენლები იუწყებოდნენ, რომ საქართველო გარკვეული დროის შემდეგ გახდება ალიანსის ნაწილი. მაგრამ ცნობა საქართველოს ნატოში შესვლის შესახებ მეტად ნეგატიურად იქნა აღქმული რუსეთის მხრიდან, რომელიც ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოებაში ეროვნული უშიშროების საფრთხეს ხედავს.

საქართველო ახორციელებს პოლიტიკას, რომლის ორიენტაციაცაა ნატოში და ევროკავშირში შესვლა, 2004 წლიდან, როდესაც ხელისუფლების სათავეში მიხეილ სააკაშვილი მოვიდა.

როგორც იტყობინებოდნენ, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ლიტვაში ენ დერსიმ განაცხადა, რომ ვილნიუსსა და ვაშინგტონს ერთმანეთთან აკავშირებს შესანიშნავი ორმხრივი და აგრეთვე ნატოსთან პარტნიორობა უშიშროების დარგში. საერთაშორისო ურთიერთობათა და პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტში გამოსვლის დროს მან აღნიშნა, რომ მიუხედავად იმედისა, რომ „ცივი ომის“ დამთავრება გახდება „ისტორიის დასასრული“ და დაიწყება ახალი სამშვიდობო ერა, – ამჟამად საერთაშორისო მდგომარეობა კვლავ რთულია და იგი ახალ საფრთხეებს შეიცავს.

„ჩვენ აღმოვჩნდით ეროვნებათაშორისი, მრავალპოლარული დაშინების ახალ ერაში და ამ ახალ დაშინებათა გამოჩენასთან დაკავშირებით საჭიროა მოიძებნოს უშიშროების უზრუნველყოფის ახალი საშუალებები. მინდოდა მეტად მკაფიოდ მეთქვა: ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იკისრა ვალდებულება დაიცვას ლიტვა. ჩვენ შესანიშნავი პარტნიორობა გვაქვს უშიშროების დარგში – და აგრეთვე ორმხრივიც, როგორც უახლოეს მოკავშირეებს ნატოს მიხედვით. ჩვენ ვიკისრეთ ვალდებულება, რომ მხარი დავუჭიროთ და განვამტკიცოთ ეს პარტნიორობა“, –აღნიშნა დერსიმ.

დიპლომატის სიტყვებით, ლიტვის ძალისხმევა ავღანეთში ნატოს ოპერაციაში გვიჩვენებს, რომ ვილნიუსი აგრეთვე სერიოზულად კისრულობს ვალდებულებებს ნატოს კოლექტიური თავდაცვის დარგში.

„მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად ლიტვის წვლილი ავღანეთში – ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავია ნატოში. ჩვენ ვაგრძელებთ პარტნიორობის განმტკიცებას გორის პროვინციაში. პროვინციის აღდგენის ჯგუფში ჩვენ დავნიშნეთ ახალი ექსპერტი სოფლის მეურნეობის დარგში და მზად ვართ ერთობლივი ამერიკა-ლიტვის ჯგუფში თანამშრომლობისთვის პოლიციის მომზადების საქმეში, რომელიც გორის პროვინციაში განლაგდება“, – აღნიშნულია ელჩის მოხსენებაში.

დერსიმ აგრეთვე აღნიშნა, რომ შემოდგომაზე ლიტვაში მესამედ იქნება დისლოცირებული ამერიკის შეერთებული შტატების გამანადგურებლები, რომლებიც მიზნად ისახავენ განახორციელონ ნატოს საჰაერო პოლიციის მისია ბალტიის ქვეყნებში, ორივე ქვეყნის სამხედროები კი 2010 წელს მიიღებენ მონაწილეობას ოთხ დიდ სწავლებაში.

информационное агентство
РОСБАЛТ

დიდი ტერორი?

# ალექსანდრ ელისეევი

# 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## „საუკუნის დანაშაული“ თუ ქვეყნის გადარჩენა?

მაგრამ შესაძლებელი იყო გერმანიასთან ხანგრძლივი კავშირი, რომელიც უზრუნველყოფდა მშვიდობას ჩვენი ქვეყნისთვის მრავალი წლის განმავლობაში? სტალინს ხომ ამის იმედი ჰქონდა. ან იქნებ მას ბრალი მაინც უნდა დავდოთ უტოპიზმში? როგორც მე წარმომიდგენია, ხანგრძლივი კავშირის რეალური შესაძლებლობა არსებობდა. სხვა საქმეა, ის ვერ განხორციელდა. განა ცოტაა პოლიტიკაში განუხორციელებელ შესაძლებლობათა მაგალითები. ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს თავად პოლიტიკოსების შესაძლებლობას უტოპიზმში.

გერმანიასთან მყარი დაახლოების კურსს ჰქონდა ყველა საფუძველი. სიმპათიებს ბოლშევიზმისა და სსრ კავშირისადმი განიცდიდა მმართველი ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ბევრი ცნობილი ხელმძღვანელი. შელენბერგი იხსენებს, რომ ძლევამოსილი გესტაპოს შეფი გ.მიულერი აღფრთოვანებული იყო ბოლშევიზმის გამო, ესმოდა მისი, რაშიც გულისხმობდა სტალინურ სსრ კავშირში არსებულ სისტემას. როდესაც ერთმანეთს ადარებდა კომუნიზმსა და ნაციზმს, მიულერი მიდიოდა იმ დასკვნამდე, რომ „ნაციონალ-სოციალიზმის მოძღვრებაში ძალიან ბევრი კომპრომისია“, ამიტომ მის იდეებს არ შეუძლიათ გამოიწვიოს ისეთი რწმენა, რაც კომუნისტებისთვისაა დამახასიათებელი. ჰიტლერი, მიულერის აზრით, ძალიან მაგრად აგებდა სტალინთან. „ამჟამად სტალინი წარმომიდგენია სრულიად სხვაგვარად, — ამბობდა მიულერი. — ის დასავლეთის ყველა ლიდერზე წარმოუდგენლად მაღლა დგას, და მე რომ ნება მქონდეს გამოვთქვა ჩემი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ მასთან დავდებდით ხელშეკრულებას უახლოეს ვადაში. ეს დასავლეთის წყევლით დასნეზოვნებული პირფეროზისთვის დარტყმა იქნებოდა, რის შედეგადაც ფეხზე ვეღარასოდეს წამოდგებოდა“.

შელენბერგი ამტკიცებდა, რომ მიულერი ჯერ კიდევ 1943 წელს მივიდა იმ აზრამდე, რომ აუცილებელი იყო სეპარატისტული ზავი რუსეთთან. 1945 წელს ბერლინისთვის გაჩაღებული ბრძოლის დროს ის თითქოსდა წითელი არმიის მხარეზე გადავიდა, რის შემდეგაც 1950 წელს ის მოსკოვში ნახეს.

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მიულერი თანამშრომლობდა საბჭოთა დაზვერვასთან, არის მის დოსიეში, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინათ მოუხსნა ყადაღა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული არქივის სამსახურმა (საქმე № 8601ძ. ამერიკელებმა იცოდნენ, თუ ვინ იყო მიულერი, თუმცა დიდი ხნის განმავლობაში დუმდნენ.

საბჭოთა დაზვერვასთან მიულერის კონტაქტების შესახებ 90-იან წლებში საუბრობდა რ.ბარაკი, რომელიც 1951-1962 წლებში ჩეხოსლოვაკიის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო.

არის აგრეთვე ირიბი მონაცემები „წითელი მიულერის“ ვერსიების სასარგებლოდ. გესტაპოს არქივებში ინახება დოკუმენტები, რომლებიც 1941 წელს განეკუთვნება და რომლებშიც გესტაპოს შეფი მოითხოვს საბჭოთა სამხედრო ტყვეებისადმი ყველაზე რბილ დამოკიდებულებას, აღნიშნავს მათი მკურნალობის აუცილებლობას. მან მოაწყო საკონცენტრაციო ბანაკებში საქმის ვითარების ფართომასშტაბიანი შემოწმება, რომლის დროსაც ბანაკების ზოგიერთი ხელმძღვანელი, დაცვის უფროსი და რიგითი მცველი ესესელთა სასამართლომ გაასამართლა. ბევრ რამეზე მეტყველებს საიდუმლო ბრძანებაც, რომელიც გასცა მიულერმა 1944 წლის 17 აგვისტოს. მის თანახმად, განსაკუთრებული საშიშროების შემთხვევაში ორმაგ ნიშანზე „გისოსი და ჭექაქუხილი“ გესტაპოს ორგანოებს უნდა დაეპატიმრებინათ გერმანიის კომუნისტური პარტიის ყოფილი მდივნები. გამოდის, რომ კომუნისტური პარტიული ორგანიზაციის ბევრი მდივანი 1944 წელსაც კი თავისუფალი იყო. ასეთ შემთხვევაში მიულერი უნდა ჩაითვალოს მესამე რაიხში კომუნიზმთან ბრძოლის მთავარი მესაბოტაჟე. ხომ სწორედ მის უწყებას ევალებოდა „კომუნისტური სენის“ აღმოფხვრა.

მიულერი ოპოზიციაში იყო ესესის ხელმძღვანელობასთან, რომელსაც სათავეში ედგა ესესის რაიხსფიურერი გ.გიმლერი, ვინც მხარს უჭერდა ინგლისამერიკულ დემოკრატიასთან მორიგებას. ამ დროს გესტაპოს შეფი ემყარებოდა მ.ბორმანის მხარდაჭერას. ბორმანმა თავის დროზე შეძლო მაქსიმალურად დაეშორებინა ჰიტლერი რ.ჰესისაგან, გერმანია-ინგლისის ყოფილი მხურვალე მომხრისგან.

დღეს არის ბევრი მონაცემი, რომლებიც მოწმობენ იმის შესახებ, რომ თავად ბორმანი სსრ კავშირზე მუშაობდა. ახლა არ შევეხები შედარებით დაწვრილებით ჟურნალისტ ბ.ტარტაკოვსკის სენსაციურ წიგნს. მასში ავტორი ცდილობს — დაარწმუნოს მკითხველი, რომ ბორმანი საბჭოთა აგენტი იყო, ზოგიერთ, მეტად მნიშვნელოვან საბჭოთა ხელმძღვანელზე (მაგალითად, მარშალ ა.ი.ერიომენკოზექ მითითებით. ჩვენთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს აბვერში „აღმოსავლეთის უცხოეთის არმიების“ განყოფილების ხელმძღვანელის რ.გელენის აზრს. გელენის თანახმად, ბორმანი საბჭოთა დაზვერვასთან თანამშრომლობდა, რისთვისაც იყენებდა პარტიულ რადიოსადგურს, რომელიც მაუწყებლობდა ლათინურ ამერიკაზე. უცნაურია, მაგრამ ეს იყო რაიხში ერთადერთი რადიოსადგური, რომელსაც არ უსმენდნენ შესაბამისი ორგანოები. ეს ბორმანს აძლევდა პრაქტიკულად განუსაზღვრელ შესაძლებლობას მიეწოდებინა სსრ კავშირისთვის ინფორმაცია ნაცისტური გერმანიის საიდუმლოებათა შესახებ.




შეიძლება, რასაკვირველია, ვთქვათ, რომ გელენი ცრუობს. მაგრამ სადაა, ამ შემთხვევაში სიცრუის მოტივები? ვივარაუდოთ შემდეგი რამ: გელენმა, რომელიც თავგამოდებული ანტიკომუნისტი იყო, მოინდომა მოეწყო საბჭოთა კავშირის კომპრომეტაცია რაიხის ერთ-ერთ ლიდერთან საიდუმლო სეპარატისტული თანამშრომლობის ფაქტით. მორჩა. ეს არის ერთადერთი შესაძლო მოტივი. მაგრამ გელენმა ბორმანის ჯაშუშობაზე ისაუბრა პენსიაზე გასვლის შემდეგ 1968 წელს. ცხადია, რომ თუ სსრ კავშირის კომპრომეტაციის საჭიროება წარმოიქმნებოდა, მაშინ გელენის გულახდილი საუბარი გამოდგებოდა გაცილებით ადრე. მაგრამ მან ბორმანის „გამოააშკარავება“ შეძლო, როდესაც უკვე კერძო პირი იყო.

მეტად მნიშვნელოვანია ცნობილი გერმანელი მოქანდაკის ა.ბრეკერის დამოწმება. 1941 წლის 22 ივნისის ტრაგიკულ დღეს ბორმანი ეწვია ბრეკერს მის რეზიდენციაში. ის დაელდიანებული იყო და იმეორებდა ერთ ფრაზას: „არყოფნამ ამ ივნისის დღეს გაიმარჯვა ყოფნაზე... ყველაფერი დამთავრდა... ყველაფერი დაიკარგა...“

ბორმანს საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა პირველი მსოფლიო ომის დროს კაიზერის სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელთან ვ.ნიკოლაისთან. ნიკოლაი რუსეთთან და სსრ კავშირთან დაახლოების თავგამოდებული მომხრე იყო, რაშიც არცერთ მკვლევარს ეჭვი არ ეპარება. მაგრამ აი, ნიკოლაი იყო აგრეთვე მესამე რაიხის საგარეო საქმეთა მინისტრის ი.ფონ რიბენტროფის პირადი მეგობარი. და არა უბრალოდ მეგობარი, არამედ მისი საიდუმლო დაზვერვის ხელმძღვანელი, რომელიც ატრიალებდა სხვადასხვა დელიკატურ ოპერაციებსაც. ერთ-ერთი ასეთი ოპერაცია იყო, უეჭველია, სტალინთან სეპარატისტული ზავის დადების მცდელობა, რის შესახებაც საუბრობს რიბენტროპი თავის მემუარებში.

რიბენტროპი საერთოდ საბჭოთა კავშირთან დაახლოების თავგამოდებული მომხრე იყო. შემთხვევითი როდი იყო, რომ სწორედ მას ერგო პატივი წარმოედგინა რაიხი მოსკოვის მოლაპარაკებაზე, რომელიც ცნობილი შეთანხმების ხელშეკრულების დადებით დამთავრდა. როგორც ა.როზენბერგი იგონებს, მოსკოვიდან დაბრუნებული რიბენტროპი აღფრთოვანებული იყო სტალინთან და მის თანამებრძოლებთან ურთიერთობით. „რუსები, მისი სიტყვებით, — გვიამბობს როზენბერგი, — მეტად სანდომიანები არიან, მათ შორის თავს გრძნობდა, როგორც ძველ ნაციონალ-სოციალისტებთან... სტალინმა წარმოთქვა არა მხოლოდ ფიურერის სადღეგრძელო, არამედ კომუნისტებისაც, ესე იგი იმათი, ვისაც სტალინისა სწამდა, იგი კი ამისთვის ყოველგვარი საჭიროების გარეშე — ადღეგრძელებს თავისი მომხრეების გამანადგურებელს“. როზენბერგს, ანტიკომუნიზმის დოგმატიკოსს, არ შეეძლო გაეგო, რომ სტალინისთვის ასეთივე მტრული იყვნენ კომუნიზმის დოგმატიკოსები, მგზნებარე ინტერნაციონალისტები, რომლებიც აღიზარდნენ „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ფრაზაზე: „პროლეტარიატს არ გააჩნია თავისი სამშობლო“. ისინი მას არ სჭირდებოდნენ და მხოლოდ ხელს უშლიდნენ ქვეყნისა და პარტიის ეროვნული ბოლშევიზაციის განხორციელებაში.

აი რიბენტროპს კი, ნიჭიერ დიპლომატს და მეტად ჭკვიან კაცს, შესანიშნავად ესმოდა სტალინისა და მისი „საბჭოთა ანტიკომუნიზმისა“. მოსკოვში ისტორიულ შეხვედრაზე საგარეო საქმეთა რაიხსმინისტრმა თქვა: „ბატონ სტალინს, უეჭველია, უფრო ნაკლებად შეეშინდა ანტიკომუნისტური პაქტისა, ვიდრე ლონდონის „სიტის“ და ინგლისელ მეღუქნეებს. გერმანელების დამოკიდებულება ამ ფაქტთან კარგად მოჩანს ხუმრობაში, რომელიც წარმოიქმნა ბერლინელებს შორის, რომლებიც ცნობილი არიან თავიანთი იუმორით. ისინი ამბობენ, რომ სტალინი მალე თავად შეუერთდება ანტიკომინტერნის პაქტს“. მართლაც, დიდ ბანკირებსა და სპეკულანტებს კომინტერნელები გაცილებით მეტად სჭირდებოდათ, ვიდრე სტალინს. ერთნიც და მეორენიც თავგამოდებული კოსმოპოლიტები იყვნენ. უსამშობლოო პროლეტარული რევოლუციონერები, ნებით თუ უნებლიეთ, ეხმარებოდნენ უსამშობლოო პლუტოკრატებს ეროვნული საზღვრებისა და სხვაობის წაშლაში, რაც ხელს უშლიდა უეროვნობო კაპიტალის წარმატებით წინსვლას.

ომმა ბოლო მოუღო რუსეთთან დაახლოების მცდელობას. მაგრამ ომის პირობებშიც რიბენტროპმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა სიტუაციის გამოსასწორებლად. უკვე 1942 წლის ნოემბერში მან ჰიტლერს შესთავაზა შეექმნათ არხი სტალინთან კონტაქტების დასამყარებლად. გათვალისწინებული იყო მოეწყოთ ნიადაგის ზონდირება სამშვიდობო მოლაპარაკებისთვის ნეიტრალურ შვედეთში ყოფილი საბჭოთა ელჩის ა.მ.კოლონტაის მეშვეობით. მაშინ ჰიტლერი დიდი გაღიზიანებით გამოეხმაურა თავისი საგარეო საქმეთა მინისტრის წინადადებას, პროექტის განხილვაც არ დაუწყია. სტალინგრადთან გერმანელების განადგურების შემდეგ რიბენტროპმა კვლავ ჩამოაგდო საუბარი ჰიტლერთან სამშვიდობო მოლაპარაკების შესახებ. ამჯერად ჰიტლერს აღარ დაუწყია საუბარი მისი გამართვის შესაძლებლობის შესახებ, მაგრამ შენიშნა, რომ მშვიდობაზე ის წავა სსრ კავშირზე დიდი სამხედრო გამარჯვების შემდეგ. რიბენტროპი წაახალისა ასეთმა პასუხმა და კოლონტაისთან დაამყარა ირიბი კონტაქტი. 1943 წლის სექტემბერში ჰიტლერმა ლამის უკვე მიიღო გადაწყვეტილება მოსკოვთან მოლაპარაკების შესახებ და რუკაზე აღნიშნა სადემარკაციო ხაზიც კი, რომელსაც უნდა გაეყო რუსეთი და გერმანია ზავის დადების შემდეგ. მაგრამ მეორე დღეს მან უარი თქვა თავის იდეაზე.

მას შემდეგ, რაც მუსოლინი გაათავისუფლეს ტყვეობიდან და მიიყვანეს ჰიტლერის მთავარბანაკში, მან მაინც გადაწყვიტა მოლაპარაკებოდა სსრ კავშირს. მაგრამ კვლავ მეორე დღეს მან გადაიფიქრა თავისი გადაწყვეტილება და საგარეო საქმეთა მინისტრს უთხრა: „იცით, რიბენტროპო, დღეს მე კიდეც რომ მოველაპარაკო რუსეთს, ხვალ ისევ წავეკიდები, სხვაგვარად არ შემიძლია!“ უკანასკნელად დაეყოლიებინა ჰიტლერი — წასულიყო სამშვიდობო ზონდაჟზე, რიბენტროპი შეეცადა 1945 წლის იანვარში. პასუხად ასეთი სიტყვები მოისმინა: „...ნუ მიწყობთ გესის მაგვარ ისტერიებს“.

ნიშანდობლივია ი.გებელსის საგარეოპოლიტიკური შეხედულებების ევოლუცია. 1944 წელს პროპაგანდის რაიხსმინისტრი მიხვდა რუსეთთან ზავის დადებისა და მასთან ერთად დასავლეთის დემოკრატიების წინააღმდეგ გამოსვლის აუცილებლობას. მან ჰიტლერს განსაკუთრებული წერილიც კი გაუგზავნა, რომელშიც გამოხატავდა თავის აზრს ამასთან დაკავშირებით. მის ყოველდღიურ ჩანაწერებში, რომლებიც 1944-1945 წლებს განეკუთვნება, შეიძლება ბევრი „პროსაბჭოური“ აზრი ამოიკითხო. გებელსი აღფრთოვანებული იყო სტალინით, მისი ნებისყოფით და რუსი ადამიანების დისციპლინირებულებით. და, პირიქით, თავზარდაცემული იყო იმ წესრიგისგან, უფრო სწორედ, უწესრიგობისგან, რაც მესამე რაიხის არსებობის უკანასკნელ თვეებში სუფევდა. ნიშანდობლივია, რომ ომის ბოლოს გებელსმა განიზრახა დაბრუნებოდა „თავდაპირველ“, „რევოლუციურ“ ნაციონალ-სოციალიზმს — ანტიკაპიტალისტურსა და ანტიბიუროკრატიულს. ამ მიზნით მან გამოუშვა პროპაგანდისტული მასალების მთელი სერია. ის ვარაუდობდა, რევოლუციური ნაციონალ-სოციალიზმის საფუძვლად ექცია „ვერვოლფი“ — „პარტიზანული“ მოძრაობა, რომელიც იქმნება სასწრაფოდ ანტიჰიტლერული კოალიციის ჯარების წინსვლასთან დაკავშირებით.

შეიძლება შეგვედავონ, რომ მოსკოვთან მოლაპარაკებისთვის მზადყოფნა გებელსს გაუჩნდა მხოლოდ ბოლო თვეებში. ვითომ, რაიხსმინისტრს შეეშინდა და ამან აიძულა წასულიყო მოსკოვთან სამშვიდობო მოლაპარაკებებზეო. თუმცა რაიხში ბევრს შეეშინდა, მაგრამ ყველა მათგანს როდი ჰქონდა მოსკოვთან დაზავების იდეა. გაცილებით მეტი იყვნენ ისინი, ვისაც უნდოდა მოლაპარაკება დასავლეთის დემოკრატიებთან (მაგალითი — ჰიმლერიძ. თანაც გებელსს ჰქონდა „მარცხენა“ წარსული, რომელსაც არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა მის რწმენასა და მიდრეკილებაზე. 20-იან წლებში ის ემხრობოდა შტრასერის ფრთას და „ბურჟუა ჰიტლერის“ პარტიიდან გარიცხვასაც კი მოითხოვდა. მაშინაც გებელსის დღიურებში ჩნდებოდა პროსაბჭოური ჩანაწერები. აი, მაგალითად, 1926 წლის 1 იანვრის ჩანაწერი: „მე მგონი, საშინელებაა, რომ ჩვენ (ნაცისტებიძ და კომუნისტები ვებრძვით ერთმანეთს... როდის და სად შევუერთდებით კომუნისტების ხელმძღვანელებს?“ დაახლოებით იმავე პერიოდში ის აგზავნის წერილს გერმანიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის მისამართით, რომელშიც აცხადებს: „ჩვენს შორის მიდის ბრძოლა, მაგრამ, არსებითად, ჩვენ ხომ მტრები არა ვართ“.

მოგვიანებით გებელსი მოხვდება ჰიტლერის მომხიბლაობის ქვეშ და დატოვებს „მემარცხენე“ ნაცისტების ბანაკს. თუმცა ზოგიერთი სიმპათია სოვეტიზმისა და კომუნიზმისადმი, როგორც ჩანს, მას შემორჩა. სხვაგვარად როგორ შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ 1930 წლის 20 ოქტომბერს სწორედ ის წარმოადგენდა თავის პარტიას ნაცისტებისა და კომუნისტების გაერთიანებულ მიტინგზე. მაშინ ნაცისტების პარტიისგან მას ესწრებოდა 1200 კაცი, გერმანიის კომუნისტური პარტიიდან — 300.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 14-56.

## ◎ რაგბი

# გამარჯვებით დაიწყეს



**იტალიის ქალაქ ტრევიზოში დაიწყო 18 წლის მორაგბეთა ევროპის პირველობა.** საქართველოს ნაკრებმა პირველ მატჩში რუმინეთის გუნდს მოუგო 25:7 და ნახევარფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე იქნება გერმანიის მძლეველი (20:11) ირლანდია. საფრანგეთმა იტალია დაამარცხა 50:10, ხოლო ბელგიამ რუსეთს დააყრევინა ფარ-ხმალი – 27:14. ნახევარფინალები ხვალ გაიმართება.

## ◎ ჭიდაობა

# რიხიანი დაბრუნება



**ორი წლის წინათ დავით მოძმანაშვილმა ევროპის ჩემპიონატზე ყველა მეტოქე დაჯაბნა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, თუმცა გამარჯვების სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან აკრძალული პრეპარატის მიღების გამო ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღო.**

ამ ხნის განმავლობაში მოძმანაშვილს შეჯიბრებებში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ წვრთნას ჩვეული მუყაითობით განაგრძობდა. უფრო მეტიც, 2008 წლის პეკინის ოლიმპიადის წინ ჩინელმა მოჭიდავეებმა თავიანთი მძიმეწონოსნის თამაშებისთვის უკეთ მომზადების მიზნით ქართველი ფალავანი სპარინგ-პარტნიორად მიიწვიეს.

წლეულს 13-18 აპრილს აზერბაიჯანის დედაქალაქი მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის მხოლოდ მძიმე წონაში იყო გაურკვეველი, ჩვენგან თუ ვინ იჭიდავებდა. ფავორიტები საგარეჯოში შეიკრიბნენ. ორწლიანი „შესვენების" შემდეგ ხალიჩაზე კვლავ გამოვიდა დავით მოძმანაშვილი, რომელმაც ჯერ ზვიად მეტრეველი დაამარცხა, მერე – მიხეილ ჩიქოვანი. ნახევარფინალში ორგზის მსოფლიოს და ხუთგზის ევროპის ჩემპიონ ლუკა კურტანიძეს დაუპირისპირდა. პირველ პერიოდში სწორედ გამოცდილმა ფალავანმა მოიგო, მაგრამ მერე ვერ შეძლო უპირატესობის შენარჩუნება და დამარცხდა. საბოლოოდ კი მეოთხე ადგილზე გავიდა. ფინალურ პაექრობაში კი მოძმანაშვილმა გიორგი ნიკურაძისა და ალექსი მოდებაძის მძლეველ ლევან სეთურიძეს მოუგო და ოქროს მედალთან ერთად ნაკრებში ადგილიც დაიჯავშნა. ფალავნობაზე ბრინჯაო ნიკურაძეს ერგო.

## ◎ ფიგურული ციგურაობა

# უარესად, ვიდრე შარშან

**იტალიის ქალაქ ტურინში დამთავრდა ფიგურულად მოციგურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს სამი წარმომადგენელი მონაწილეობდა.**

ცხადია, მოუთმენლად ველოდით წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორს, 20 წლის ელენე გედევანიშვილის გამოსვლას, მან კი იმედები გაგვიცრუა: შეჯიბრების პირველ დღეს მოკლე პროგრამით მე-12 ადგილი დაიკავა, თავისუფალი პროგრამით კი მხოლოდ 21-ე იყო. საბოლოოდ მე-18 ადგილით დაკმაყოფილდა. ელენემ მსოფლიო ჩემპიონატებში მეხუთედ მიიღო მონაწილეობა. ყველაზე უკეთესი შედეგი შარშან ჰქონდა – მეათე ადგილი.

**მილანში საპრიზო ადგილები კი ასე განაწილდა:**

1. მაო ასადა (იაპონია), 2. იუ-ნა კიმი (სამხრეთ კორეა), 3. ლაურა ლეპისტო (ფინეთი).

ცეკვებში ელისონ რიდსა და ოთარ ჯაფარიძეს 21-ე ადგილი ერგოთ.

## ◎ კალათბურთი

# ყველა როდი იყიდება

**სეზონის რეკორდებით აღინიშნა სუპერლიგის უკანასკნელი ტური. მისი ავტორები გახდნენ „ბათუმის" ცენტრალური თავდამსხმელი დავით იმნაძე – 27 მოხსნა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის დებიუტანტი ვახტანგ მინაშვილი – 53 ქულა.**

საინტერესოდ განვითარდა მოვლენები ლიდერების რუსთავის „ენერჯი ინვესტისა" და აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტთა ცენტრალურ მატჩში. სასოფლოელებმა აქამდე დაუმარცხებელ მრისხანე მეტოქეს მძაფრი ბრძოლა გაუმართეს და პირველ ნახევარში ფრესაც მიაღწიეს – 41:41, მაგრამ შესვენების შემდეგ ვერაფერი მოუხერხეს სტუმართა ამერიკელ ლეგიონერს დომინიკ ტილფორდს (31 ქულა) და ღირსეულად წააგეს შეხვედრა – 78:89.

მას შემდეგ, რაც „ბათუმმა" ზღვისპირელთა დერბიში „სოხუმი" დაჯაბნა – 105:78, ყველას თვალსასეირო თამაშის სიუჟეტი აღელვებდა, რომელშიც ურთიერთობას შსს და თბილისის „დინამო" არკვევდნენ. იმ შემთხვევაში, თუ „თეთრ-ლურჯები" ნამუსზე ხელს აიღებდნენ და სამართალდამცავებს 75(!) ქულის სხვაობით „დაუწვებოდნენ", ეს უკანასკნელნი ბურთების შეფარდებით გაუსწორებდნენ აჭარლებს და მათთან დამდეგ პლეი-ოფში საკუთარი მოედნის უპირატესობას მოიპოვებდნენ. ზოგ-ზოგიერთთა სკეპტიციზმის მიუხედავად, დავით თორთლაძემ სათანადოდ დაქოქა შეგირდები და რეპუტაცია შეუნარჩუნა – 73:99.

ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასკვნით დუელში თსუ-მ სამედიცინო აკადემიის ჭაბუკები დაჯაბნა – 119:96.

**ამრიგად, მეოთხედფინალებში 2 მოგებამდე, რომლებიც 14 აპრილს დაიწყება, ერთმანეთს შეხვდებიან:** „ენერჯი ინვესტი" – „სამედიცინო აკადემია", საუ – „დინამო", თსუ – სოხუმი და „ბათუმი" – შსს.

## ◎ სუმო

# ელიტაში ადგილები შეინარჩუნეს

**იაპონიის ქალაქ ოსაკაში დამთავრდა სუმოისტთა მარტის ბაშო, რომელშიც სამი ქართველი ატლეტი მონაწილეობდა.** ჩვენებურებმა ბოლო ორთაბრძოლები შესანიშნავად წარმართეს და ასპარეზობა დადებითი ბალანსით დაამთავრეს. განსაკუთრებით კოკაის, ანუ შავი ზღვის (ლევან ცაგურია) წარმატება უნდა აღინიშნოს. მან თხუთმეტიდან 10 მეტოქეს სძლია და მეოთხე-მეთერთმეტე ადგილები გაინაწილა. 9 შეხვედრა მოიგო (6 წააგო) ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე), ხოლო გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი) ოსაკას ბაშო 8-7 ბალანსით დაასრულა.

## ◎ თარიღი

# შესანიშნავი მწვრთნელი, გამორჩეული აღმზრდელი და ფეხბურთელი

**ანატოლი (გიგა) ნორაკიძის 80 წლისთავის გამო**

**ანატოლი (გიგა) ლევანის ძე ნორაკიძე დაიბადა 1930 წლის 30 მარტს აფხაზეთის ულამაზეს კუთხეში – ოჩამჩირეში. თამაში დაიწყო 1945 წელს ოჩამჩირის მოზარდთა გუნდში. შემდეგ 1948-1949 წლებში ოჩამჩირის „დინამოში" თამაშობდა, სადაც მწვრთნელთა ყურადღება თავიდანვე მიიქცია. 1950 წელს ის სოხუმის „დინამოშია", სულ მალე კი საქართველოს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდში – „სპარტაკში" იწვევენ და იქ 1951-1953 წლებში წარმატებით ასპარეზობს. შემდეგ ამიერკავკასიის ოფიცერთა სახლის გუნდის („ტოდოს" სახელწოდებით) ღირსებას იცავს, საიდანაც მალე საქართველოს წამყვანმა გუნდმა თბილისის „დინამომ" მიიწვია. 1959 წლის ჩათვლით იგი აქაც მაღალი ოსტატობითა და მონდომებით გამოირჩევა. 1960 წელს გიგა საქართველოს მეორე გუნდში – ქუთაისის „ტორპედოში" გადადის...**

აი, რას წერს გიგა ნორაკიძის საფეხბურთო საქმიანობაზე საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი გულბათ ტორაძე თავის წიგნში „ქართული ფეხბურთი".

„...გულისფანცქალითა და ცუდი წინათგრძნობით მივდიოდით სტადიონზე. აცხადებენ გუნდების შემადგენლობას. ერთმანეთს ცვლიან სახელგანთქმული რუსი ფეხბურთელების ბესკოვის, ტროფიმოვის, სოლოვიოვების, ბლინკოვის, სავდუნინისა და სხვათა გვარები. კარში დგას ყოფილი თბილისელი ვ. სანაია, რომელიც შემდგომ იმ სეზონის საუკეთესო მეკარედ აღიარეს. დაიწყო თამაში და თვალებს არ ვუჯერებთ: ჩვენი ბიჭები ჯიქურ ეკვეთნენ მოსკოველთა კარს და მძაფრად შეუტიეს. მოედანზე ვიხილეთ სრულიად ახალი გუნდი. თითქოს აღდგაო შარშანდელი „სპარტაკი". განსაკუთრებით ნორაკიძე და კალოევი გამოირჩეოდნენ. კალოევი სისტემატურად უგებდა დუელებს მაღალი ბურთისათვის განთქმულ მოსკოველ მცველებს და მალე გოლიც გაიტანეს. ნორაკიძემ კი პირდაპირ მოხიბლა მაყურებლები თავისი თამაშით. ეს 20 წლის ბიჭი მოედანზე მოგვევლინა როგორც შეტევის ნამდვილი ორგანიზატორი და კონსტრუქტორი, რომელსაც ხელში ეპყრა თამაშის სადავეები. მისმა მოულოდნელმა გრძელმა პასებმა პანიკაში ჩააგდო მოსკოველთა დაცვა. საჭირო შემთხვევაში კი ახალგაზრდა ფეხბურთელი საკუთარ თავზე იღებდა თამაშს და ფინტებით გადიოდა „ცხელ ხაზზე". აღტაცებულები ვადევნებდით თვალს იმ ფანტასტიკურ მეტამორფოზას, რომელიც გუნდს განეცადა რამდენიმე დღეში.

არაჩვეულებრივად დრამატულად წარიმართა მეორე ტაიმი. გამოცდილი მოსკოველები მოეგნენ გონს და ორი საპასუხო გოლიც გაიტანეს. სწორედ ამ დროს ჩვენები ფაქტიურად ათნი დარჩნენ მოედანზე, რადგან მძიმე ტრავმა მიიღო მცველმა კახნიაშვილმა, მანამდე კი თბილისელებმა შეცვალეს ერთი მოთამაშე. მეტი შეცვლა მაშინდელი წესებით აღარ შეიძლებოდა. მატჩის ბედი გადაწყვეტილი ჩანდა, მაგრამ თითქოს აქ არაფერიაო, თბილისელებმა კვლავ წამოიწყეს შეტევა. სტადიონი სუნთქვაშეკრული ადევნებდა თვალს ამ უთანასწორო ორთაბრძოლას და სწორედ ამ დროს მოედანზე გათამაშდა ეპიზოდი, რომელიც სამუდამოდ დარჩა მეხსიერებაში ყველას, ვინც კი ამ დღეს სტადიონზე იყო მოსული. მოხდენილი ფინტებით ნორაკიძე შევიდა მოსკოველთა საჯარიმო მოედანზე, გავიდა პირისპირ კარიდან წინ გამოსულ მეკარე ვ. სანაიასთან და ოსტატურად გადაუგდო მას თავზე ბურთი. რა ხდებოდა ამ დროს ტრიბუნებზე, ძნელი ასაწერია. დამამახსოვრდა წინადადება გაზეთ „ლელოდან": „ეს იყო გოლი, რომელზეც ოცნებობენ ფორვარდები". მოსკოველი ფეხბურთელები ხელმეორედ ჩავარდნენ შოკში და უკვე თამაშის მიწურულს კალოევმა გამარჯვების გოლი გაიტანა.

დიდი დრო გავიდა ამის შემდეგ, მაგრამ გულშემატკივრები დღესაც მღელვარებით იგონებენ ამ დაუვიწყარ მატჩს".

მომდევნო წლებში ბატონი გიგა ჩვენი მეორე შესანიშნავი გუნდის „ტორპედოს" წამყვანი მოთამაშე იყო. გუნდმა „ა" კლასში გამოსვლის უფლებაც მოიპოვა. სხვა რომ ვერაფერი მოუხერხეს, მოსკოველმა ფეხბურთის მამებმა გუნდი, უბრალოდ, დაშალეს. ეს მოხდა 1960 წელს და გ. ნორაკიძის, როგორც ფეხბურთელის კარიერაც, ამით დასრულდა. ჭეშმარიტად ეს იყო ფეხბურთელი-ნოვატორი, რომელიც დაჯილდოებული იყო იშვიათი ორგანიზატორული და გამორჩეული პასის ნიჭით.



1961 წლიდან ბატონი გიგა მწვრთნელად იწყებს მუშაობას. სხვადასხვა დროს ავარჯიშებდა ტყიბულის „მეშახტეს", მახარაძის „მერცხალს", სამტრედიის „ლოკომოტივს", გორის „დილას", იყო ქუთაისის „ტორპედოს" გუნდის უფროსი. მისი მოწოდება, როგორც პედაგოგის და აღმზრდელის, იყო მწვრთნელობა. 1966-1989 წლებში მისი ხელმძღვანელობით ქუთაისის „ტორპედომ" მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია როგორც საკავშირო ჩემპიონატში, ასევე საერთაშორისო მატჩებში.

მან ქუთაისის „ტორპედოში" ფეხბურთის მრავალი დიდოსტატი აღზარდა, მათ შორის დავასახელებდი რევაზ ძოძუაშვილს, გივი და ლევან ნოდიებს, ზარზებ ებრალიძეს, ოთარ გაბელიას, თამაზ კოსტავას, თენგიზ სულაქველიძეს, რამაზ შენგელიას, რომლებიც შემდგომში წარმატებით იცავდნენ თბილისის „დინამოს" და საბჭოთა კავშირის ნაკრების ღირსებას. სამწვრთნელო-პედაგოგიურ მოღვაწეობაში დიდი წარმატებებისთვის ანატოლი ნორაკიძეს 1968 წელს მიენიჭა საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

80-იანი წლების ბოლოს ბატონი გიგა სოხუმის „დინამოს", შემდგომში „ცხუმად" წოდებულს ჩაუდგა სათავეში. გასაოცარი იყო მისი მონდომება და სურვილი, თავისი მშობლიური კუთხის, დიდი ტრადიციების მქონე აფხაზეთის პირველი გუნდის ადგილი ქართული ფეხბურთის ლიდერთა შორის დაემკვიდრებინა და გაეყვანა ის საერთაშორისო ასპარეზზე.

1991-1992 წლებში ბატონი გიგა დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ნაკრების პირველი უფროსი მწვრთნელია, რაც მისი ცოდნის, გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის უდავოდ დიდი დაფასება იყო.

1995 წლის 27 თებერვალს 65 წლის ასაკში ქართველ ვეტერან-ფეხბურთელთა და გამოჩენილ მწვრთნელთა რიგებს მოულოდნელად გამოაკლდა უკეთილშობილესი პიროვნება ანატოლი (გიგა) ნორაკიძე. წავიდა და მისმა გულმა თან აფხაზეთის ტრაგედიით გამოწვეული უდიდესი ტკივილი წაიღო. მადლიერი შთამომავლობა, ქართული ფეხბურთის გულშემატკივარი, მისი მეგობრები და ახლობლები სიყვარულით და ღრმა პატივისცემით მოიგონებენ და დააფასებენ მის ამაგს. ამის ნათელი დასტურია ამ დღეებში ჩატარებული მისი ხსოვნის უკვდავსაყოფი საიუბილეო ღონისძიებები.

**მურად ანჯაფარიძე,**
**აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი,**
**ოთარ ჭითანავა,**
**საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი.**

## ◎ ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**დღეს უკრაინელებთან მატჩით საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ასრულებს გამოსვლას ჩეხეთში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში.**

სტარტზე მასპინძლებთან მოპოვებული ღირსეული გამარჯვების შემდეგ – 1:0 გიორგი დევდარიანის შეგირდებმა 1:2 წააგეს უმნიშვნელოვანესი შეხვედრა ჯგუფის ფავორიტ ჰოლანდიასთან, თუმცა ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსს მაინც ინარჩუნებენ. საამისოდ ჩეხებმა ბენილუქსელებს აუცილებლად ერთი ბურთის სხვაობით უნდა სძლიონ, „ჯვაროსნებმა" კი უკრაინელები მინიმუმ 2:0 უნდა დააჩოქონ. **ცნობისთვის:** დღეს პარტნიორებს წითელ-ყვითელი ბარათების გამო ვერ დაეხმარებიან მეკარე ლეგაშვილი და გუნდის ლიდერი ჭანტურია, ხოლო მეტოქის კარს ჩვენი თანამემამულე ზაურ მახარაძე იცავს. რაც შეეხება „ნარინჯისფრებთან" წაგებულ მატჩს, ეს ის შემთხვევა იყო, როცა, ჩვენებურთა დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ძალამ აღმართი მოხნა. ჰოლანდიელთა დიდი უპირატესობის დასტურად ისიც გამოდგება, რომ მათ პენალტი ვერ გაიტანეს – ძელმა გვიხსნა, ხოლო ორ ეპიზოდში ბურთი ცარიელი კარიდან საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ტვილდიანმა გამოიტანა.

ჩეხეთ-უკრაინა 2:1.

**სატურნირო მდგომარეობა:** ჰოლანდია – 6, საქართველო, ჩეხეთი – 3-3, უკრაინა – 0 ქულა.

* * *

**ეროვნული ჩემპიონატის XXVII ტური.** „ბაია" – „ზესტაფონი" 0:1, „სამტრედია" – „დინამო" 0:1, „ოლიმპი" – „ცხინვალი" 4:0, „ლოკომოტივი" – „ვიტ ჯორჯია" 0:1, „გაგრა" – „სიონი" 1:2.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ოლიმპი" – 62, „ზესტაფონი" – 53, „დინამო" – 52, „ვიტ ჯორჯია" – 49, „ცხინვალი" – 33, „სამტრედია" – 28, „სიონი" – 27, „ბაია" – 22, „ლოკომოტივი" – 18, „გაგრა" – 15 ქულა.

**ინგლისი. XXXII ტური.** „ბოლტონი" – „მანჩესტერი" 0:4, „ჩელსი" – „ასტონ ვილა" 7:1, „ბირმინგემი" – „არსენალი" 1:1, „ტოტენჰემი" – „პორტსმუთი" 2:0.

**გერმანია. XXVIII ტური.** „ლევერკუზენი" – „შალკე" 0:2, „ბაიერნი" – „შტუტგარტი" 1:2, „ჰერტა" – „ბორუსია" 0:0, „ვერდერი" – „ნიურნბერგი" 4:2.

**იტალია. XXXI ტური.** „რომა" – „ინტერი" 2:1, „მილანი" – „ლაციო" 1:1, „პალერმო" – „ბოლონი" 3:1, „იუვენტუსი" – „ატალანტა" 2:1.

**ესპანეთი. XXIX ტური.** „მალიორკა" – „ბარსელონა" 0:1, „რეალი" – „ატლეტიკო" 3:2, „სარაგოსა" – „ვალენსია" 3:0, ვილიარეალი" – „სევილია" 3:0.

## გამოსათხოვარი

# ბენედიქტე ბალავაძე

ქართულმა მეცნიერებამ და ქართველმა საზოგადოებამ უდიდესი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბენედიქტე კონსტანტინეს ძე ბალავაძე.

ბენედიქტე ბალავაძე მიეკუთვნება ქართველ მეცნიერთა იმ ჯგუფს, რომელთა სახელებთანაა დაკავშირებული ჩვენს ქვეყანაში გეოფიზიკური მეცნიერების, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საბუნებისმეტყველო მიმართულების დაფუძნება და განვითარება. ბატონმა ბენედიქტემ თავისი ხანგრძლივი და დაუღალავი შრომით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული გეოფიზიკის დარგში ახალი მიმართულებების ჩამოყალიბებაში, მან პირველმა ჩაუყარა საფუძველი გეოფიზიკის ერთ-ერთი დარგის – გრავიმეტრიის განვითარებას რესპუბლიკაში.



ბ. ბალავაძე დაიბადა 1909 წლის 25 ივნისს სამტრედიის რაიონის სოფ. ღანირში, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე ბალავაძის ოჯახში. 1931 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, მან პროფ. მ. ნოდიას მიწვევით მუშაობა დაიწყო კარსნის მაგნიტურ ობსერვატორიაში, სადაც ინტენსიურად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიის მაგნიტურ აგეგმვაში. ამის შემდეგ, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, გასული საუკუნის 30-იან წლებში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის სეისმოლოგიური ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლისას, მსოფლიოში გამოჩენილი მეცნიერების გვერდით ღირსეულად წარმოაჩინა თავისი ნიჭიერება და ურთულესი სამეცნიერო პრობლემების ფართომასშტაბური და ორიგინალური გადაწყვეტის უნარი. აქ გაითავისა მან გრავიმეტრიის საიდუმლოებანი და სიღრმისეულად ჩაწვდა მისი საშუალებით სასარგებლო წიაღისეულისა და დედამიწის ქერქის აგებულების შესწავლის პრობლემებს. სწორედ ამ მიმართულებით ჩატარებულმა კვლევებმა მოუტანეს ახალგაზრდა მეცნიერს საყოველთაო აღიარება და ავტორიტეტი.

1933 წელს, ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, ბ. ბალავაძე ბრუნდება საქართველოში და პროფ. მ. ნოდიასთან, აკად. ნ. მუსხელიშვილთან და აკად. წევრ-კორ. პროფ. პ. ნიკიფოროვთან ერთად აქტიურ მონაწილეობას ღებულობს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის საქართველოს განყოფილებაში გეოფიზიკის ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში. ამ პერიოდიდან მოყოლებული მისი საქმიანობა უშუალოდ უკავშირდება გეოფიზიკის ინსტიტუტს. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა ინსტიტუტის განყოფილების გამგედ, სწავლულ მდივნად, დირექტორის მოადგილედ, წლების განმავლობაში იყო ინსტიტუტის დირექტორი, დაბოლოს – ინსტიტუტის მრჩეველი.

1937 წელს ბ. ბალავაძემ მოსკოვში, დედამიწის ფიზიკის ინსტიტუტში წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1955 წელს – სადოქტორო დისერტაცია.

ბატონი ბენედიქტე მრავალმხრივ მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეოდა გეოფიზიკის მიმართულებით. მისი მნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევები მოიცავს საძიებო, რეგიონული და გლობალური გეოფიზიკის, დედამიწის ქერქის დინამიკისა და მიწისძვრების პროგნოზის დარგებს. 1960-იან წლებში ბ. ბალავაძის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით, მამადავითის მთის ქვეშ, შეიქმნა გეოფიზიკის ინსტიტუტის დედამიწის ქერქის მიმოქცევების შემსწავლელი ლაბორატორია. აღსანიშნავია, რომ ევროპის ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების მიერ ლაბორატორიას დაეკისრა დახრების საზომი ხელსაწყოებით დაკვირვებების უნიფიკაციის საერთაშორისო ცენტრის ფუნქცია.

დასავლეთ საქართველოში მდ. ენგურზე მსოფლიოში უნიკალური მაღლივ თაღოვანი კაშხლის მშენებლობასთან დაკავშირებით, 1967 წელს, ბ. ბალავაძის ინიციატივით, შეიქმნა სპეციალური ლაბორატორია, სადაც დღესაც ტარდება გეოფიზიკური მონიტორინგი დედამიწის ქერქის ტექტონიკური და ტექნოგენური დეფორმაციული პროცესების დროში მიმდინარეობის შესასწავლად, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ენგურჰესის უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით.

ბ. ბალავაძის ხელმძღვანელობითა და რედაქტორობით 1975 წელს სტამბური წესით გამოიცა კავკასიის ტერიტორიის გრავიმეტრიული რუკა ბუგეს არასრულ ტოპოგრაფიულ რედუქციაში, რომელსაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

ბ. ბალავაძის უდიდესი დამსახურებაა გეოფიზიკის ინსტიტუტში გამოთვლითი ცენტრის ჩამოყალიბება, რომელსაც, მისივე მოწვევით, წლების მანძილზე სათავეში ედგა აკად. გ. ალექსიძე. ამ ცენტრში დანერგილმა მათემატიკურმა მეთოდებმა ახალ დონეზე აიყვანა და მნიშვნელოვნად აამაღლა გეოფიზიკური კვლევების დონე და ეფექტურობა.

1967 წელს ბენედიქტე ბალავაძე არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1974 წელს – ნამდვილ წევრად. 1977-78 წ.წ. იგი ასრულებდა მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობას, 1978-88 წ.წ. იყო აკადემიკოს-მდივნის მოადგილე.

ბ. ბალავაძის მრავალმხრივი სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობა აღნიშნულია მთავრობის არაერთი ჯილდოთი. ამასთან ერთად, მისი მეცნიერული მოღვაწეობის აღიარებად უნდა ჩაითვალოს საქართველოს სახელმწიფო პრემია, რომელიც მან თავის კოლეგებთან და მოწაფეებთან ერთად მიიღო 1994 წელს.

ნაყოფიერ მეცნიერულ კვლევებს ბ. ბალავაძე მუდმივად უთავსებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი 1938 წლიდან მიწვეული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც კითხულობდა ლექციებს ფიზიკის ფაკულტეტის გეოფიზიკის კათედრაზე, რომლის ხელმძღვანელი თვითონვე გახლდათ 1976-1991 წლებში. 1968 წელს გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე მან დააარსა ძიების გეოფიზიკური მეთოდების კათედრა, რომელსაც ხელმძღვანელობდა 1976 წლამდე.

ბატონმა ბენედიქტემ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქართული გეოფიზიკური სკოლის წინსვლისა და ღირსეული მეცნიერული კადრებით შევსების საქმეს მიუძღვნა. მის სახელთანაა დაკავშირებული ქართული გრავიმეტრიული სკოლის შექმნა, რომელიც ამ დარგის 20-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატის, 6 მეცნიერებათა დოქტორისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2 ნამდვილი წევრითაა წარმოდგენილი.

მათი უმრავლესობა დღეს დამოუკიდებლად აგრძელებს და ანვითარებს ბატონი ბენოს მიერ რამოდენიმე ათეული წლების წინ დაწყებულ საქმეს.

ბ. ბალავაძე 250-მდე სამეცნიერო შრომის ავტორია, მათ შორის 4 მონოგრაფიის და გრავიმეტრიაში კლასიკური სახელმძღვანელოსი, რომელიც გადამუშავებული სახით ორჯერ გამოიცა და რომელზედაც რამოდენიმე ათეული თაობა აღიზარდა. მისი ძალისხმევის შედეგად შედგენილი და გამოცემული იქნა ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული გეოფიზიკური ტერმინოლოგია, რომელიც სამაგიდო წიგნად იქცა ყველა გეოფიზიკოსისათვის.

დაბოლოს აღსანიშნავია, რომ გასულ წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ფართოდ აღინიშნა ბატონი ბენედიქტე ბალავაძის 100 წლის იუბილე. იუბილეზე ხასგასმით აღინიშნა, რომ ქართული მეცნიერების ისტორიაში იშვიათობას წარმოადგენს საუკუნის ასაკის მქონე მეცნიერი, რომელიც ბ. ბალავაძის მსგავსად, ხანდაზმულობის მიუხედავად გამოირჩეოდეს სალი აზროვნებით, საოცარი მეხსიერებით და მუდმივი ზრუნვით ქართული მეცნიერების განვითარებაზე. დიდად დასანანია რომ ასეთი დამსახურების მქონე პიროვნება დღეს ჩვენს შორის აღარ არის.

გამოჩენილი მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის აკადემიკოს ბენედიქტე ბალავაძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მათ მეხსიერებაში, ვინც მას იცნობდა, ვისთანაც მას პირადი თუ საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა.

საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემია;
აკადემიის დედამიწის შემსწავლელ
მეცნიერებათა განყოფილება;
მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტი;
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი.

---

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი თანაგრძნობას უცხადებს მიშა ბალავაძეს მამის, გამოჩენილი მეცნიერის, აკადემიკოს

ბენო ბალავაძის

გარდაცვალების გამო.

---

კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი იზიარებს ექიმ მარინა ბალავაძის მწუხარებას მამის, ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს

ბენედიქტე ბალავაძის

გარდაცვალების გამო.

---

მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოება მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბუნებისმეტყველების და ტექნიკის ისტორიის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, აკადემიკოსი

ბენედიქტე ბალავაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

## საქართველოს ფაზისის აკადემიას!

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობა თანაგრძნობას გიცხადებთ ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდენტის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის, საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიების წევრის, გაეროს სამეცნიერო ექსპერტის

ცოტნე მირცხულავას გარდაცვალების გამო.

მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და სრულიად საქართველოსათვის.

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელით
გურამ გუნავა

---

## ხსოვნა

# გივი კინწურაშვილი



გარდაიცვალა შინაგან საქმეთა სამსახურის პოლკოვნიკი გივი ამბროსის ძე კინწურაშვილი.

დაიბადა 1926 წელს, 1944 წელს დაამთავრა ქ. თბილისის რკინიგზის ტექნიკუმი, ხოლო 1951 წელს – ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. იმავე წელს შრომით საქმიანობას იწყებს ჯერ საქართველოს უშიშროების და შემდგომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში. სხვადასხვა დროს ასრულებდა გამომძიებლის, საგამომძიებლო განყოფილების უფროსის მოადგილისა და უფროსის მოვალეობებს. გივი კინწურაშვილი 1971 წლიდან 10 წლის განმავლობაში იყო საქართველოს სატრანსპორტო მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე და საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის მილიციის უფროსი.

1981 წლიდან, პენსიაზე გასვლის შემდეგ, იმყოფებოდა სხვადასხვა პასუხისმგებელ სამუშაოზე: ქ. თბილისის ავტომოყვარულთა საზოგადოებაში (თავმჯდომარეძ, საქართველოს მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს ბანკის სისტემაში.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი საზოგადოებრივი და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის გივი კინწურაშვილი დაჯილდოებული იყო საქართველოს მთავრობისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯილდოებით. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული იურისტის წოდება.

გ. კინწურაშვილის ხსოვნა მარად დარჩება მისი ახლობლებისა და მეგობრების გულში.

მეგობრების ჯგუფი

---

მეუღლე ვენერა რუხაძე, ძმა დავით კინწურაშვილი, შვილები ნანა, ლალი კინწურაშვილები, შვილიშვილები თეა ლუარსაბიშვილი-ტაბიძე, გივი, თამარი, ნინო ქემოკლიძეები, შვილთაშვილები ანა, ნანა ტაბიძეები, სიძეები ზურაბ ქემოკლიძე, ლევან ტაბიძე, რძალი ნათია კვარაცხელია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი ამბროსის ძე კინწურაშვილი

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 36, სადარბაზო მე-6, ბინა №97.

---



დედა ლორიგან ვადაჭკორია, მეუღლე თამარ რუხაძე, შვილები ანა, ილია, ძმა ლადო, რძალი ნინო ჩოქური, ძმისწულები ლორენა, ალექსანდრე, ცოლისდა მანანა რუხაძე, ქვისლი ჯემალ ნიკოლეიშვილი, დეიდა ლარა ვადაჭკორია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ალექსანდრე (ალეკოძ ილიას ძე ასათიანი

პანაშვიდი 30, 31 III, 17 სთ. გამოსვენება 1 IV, 14 სთ. მისამართი: საბურთალოს ქ. №45. III სადარბაზო.

---

იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის თანამშრომლის ლალი კინწურაშვილის მამა

გივი კინწურაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოპტნეტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ კადრების მენეჯერის ხათუნა სეროფიანის მამის

ჯემალ სეროფიანის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი, ს.ს. „კ. ვ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ინსტიტუტის ექიმ-თერაპევტს, ქალბატონ ნატო ჯაყელს გარდაეცვალა დედა

ქეთევან ნაფეტვარიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◉ გამოფენა-კონკურსი

# კედლებზე აფერადებული ბავშვობა

ბავშვური უშუალობა, ბავშვური ფანტაზია, ბავშვური გულუბრყვილობა ისევ გამოიფინა (უკვე მეშვიდედ გალერეა „ჰობის“ ორივე დარბაზის კედლებზე, აქ ახლახან გაიხსნა „ჰობის“ მიერ 2004 წელს დაფუძნებული ბავშვთა კონკურსი „ოქროს პალიტრა“, რომელშიც ამჯერად 5-დან 15 წლის ასაკამდე 130-ზე მეტი ბავშვი მონაწილეობს.

– კონკურსის მიზანი თავიდანვე ნათელი იყო – გვეუბნება გალერეა „ჰობის“ დირექტორი, ხელოვნებათმცოდნე ვანდა მუჯირი, – ამ გამოფენებს უნდა გამოევლინა მხატვრობის ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები, გაგვეცნო ისინი ფართო საზოგადოებისთვის, რაც მათ შემოქმედების წინსვლას უთუოდ შეუწყობდა ხელს... და, მართლაც, როგორ გაზრდილან, როგორ დახვეწილან ის ნორჩები, რომლებიც წინა წლებშიც მონაწილეობდნენ ამ კონკურსში...

ცნობილი მხატვრებისა და ხელოვნებათმცოდნეებისგან შემდგარი კომპეტენტური ჟიური გამოავლენს ამ კონკურსის გამარჯვებულებს, რომლებსაც 1 აპრილს, გამოფენის დახურვის დღეს, გადაეცემათ სპეციალური დიპლომები და პრიზები, ასევე კონკურსის მთავარი ჯილდო – მინანქრის პალიტრა. ყველა ბავშვი დაჯილდოვდება სიგელებითა და საჩუქრებით.

ტრადიციულად კონკურსის პარტნიორია „ბალი“, რაც ბავშვებისთვის უფრო სახალისო და სტიმულის მომცემია.

ალუდა ნიქაბაძე





გამოფენა-კონკურსის მონაწილე 5 წლის ანა მარდალეიშვილი თავის ნამუშევრებთან; გამოფენის ერთი კუთხე.

მურად ალაშვილის ფოტო.

◉ დღის კალენდარი

## 30 მარტი

დიდი სამშაბათი. ღირსმოწამისა გაბრიელ მცირისა, ლეკთაგან წამებულისა (1802ძ; ღირსისა ალექსი ღმრთისკაცისა (411ძ; მოწამისა მამისა მარინოსი; ღირსისა თეოქტირისტე ალმსარებლისა (VIIIძ.



ამოდის 05.48
ჩადის 18.24



ამოდის 19.10
ჩადის 05.27

### დაიბადნენ:

1432 – **მეჰმედ II,** ოსმალეთის სულთანი (1451-1481ძ. მან 1453 წელს აიღო კონსტანტინოპოლი.

1746 – **ფრანსისკო გოია,** ესპანელი ფერმწერი, გრაფიკოსი. გარდაიცვალა 1828 წელს.

1853 – **ვან გოგი,** ჰოლანდიელი ფერმწერი, გრაფიკოსი. გარდაიცვალა 1890 წელს.

1945 – **ერიკ კლეპტონი,** ინგლისელი მომღერალი, კომპოზიტორი.

### გარდაიცვალნენ:

1852 – **ფარნაოზ ბატონიშვილი,** ერეკლე II-ის ძე. 1804 წლის მთიულეთის აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

1925 – **რუდოლფ შტაინერი,** ავსტრიელი ფილოსოფოსი, თეოსოფი.

1999 – **იური კნოროზოვი,** რუსი ეთნოგრაფი და ენათმეცნიერი.

### მოვლენები:

1814 – მოკავშირეთა ჯარებმა აიღეს პარიზი. დაემხო ნაპოლეონის ხელისუფლება.

1842 – ამერიკელმა ექიმმა უილიამსონ ლონგმა პირველად გამოიყენა ეთერი, როგორც საანესთეზიო საშუალება.

1856 – დამთავრდა ყირიმის ომი.

1858 – ფილადელფიელმა ჰემფრი ლიპმენმა დააპატენტა ფანქარი, რომელსაც მეორე მხარეს დამაგრებული ჰქონდა საშლელი.

1867 – ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც, რუსეთმა 7.2 მილიონ დოლარად ამერიკის შეერთებულ შტატებს მიჰყიდა ალასკა.

1946 – ოსკარის დაჯილდოების ცერემონიალის პირველი რადიოტრანსლაცია.

1990 – ესტონეთმა გამოაცხადა სსრ კავშირიდან გასვლის შესახებ.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ბარსელონა** – ყვავილების დღე.

**მალაიზია** – სულთან კელატანის დღე.

მედიანიუსი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

◉ მრავალჟამიერ!

## ავთანდილ კვეზერელი-კოპაძეს საიუბილეო თარიღს ვულოცავთ!

**ბატონი ავთანდილის განვლილ გზას ილიას სიტყვები ესადაგება: „ჩუმი, მშვიდობიანი, დინჯი, არამყვირალა მოღვაწეობა, – საცა უნდა იყოს, – თუ გულმხურვალეობით არის გამთბარი, გულმოდგინეობით წარმართული, ერთგულებით ძირმაგარი და პატიოსნებით ნათელცხებული – უტყუარი ნიშანია თვითონ მოღვაწის დიდბუნებოვანებისა“.**

დიდი კლინიკური გამოცდილება, გაცნობიერებული, პროდუქტიული მეცნიერული მოღვაწეობა და მაღალი ჰუმანიზმი განაპირობებს მისდამი სიყვარულისა და პატივისცემის არა მხოლოდ სამედიცინო საზოგადოებასა და პაციენტებში, არამედ მოსახლეობის ფართო ფენებშიც.

ზოგს ნიჭი და ტალანტი არ ეძლევა, ზოგსაც – მათი გამოვლინების შესაძლებლობა. ბატონ ავთანდილს უფალმა ორივე უბოძა.

ვუსურვებთ ბატონ ავთანდილს დიდხანს შეინარჩუნოს შრომისა და სიახლეთა ძიების ჭაბუკური ჟინი.

ი. ფაღავას სახელობის პედიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი და კოლექტივი

**განცხადება**

ქართული კომპანია იწვევს ქალბატონებს

გაყიდვების მენეჯერის ვაკანსიაზე. თავისუფალი სამუშაო გრაფიკით. კომპანია ახორციელებს გამოცდილი მკურნალი ექიმისა და კოსმეტოლოგის მაღალი დონის მომსახურებას უნიკალური ტექნოლოგიების გამოყენებით.

**კომპანიის მენეჯერის ტელეფონები: 39-30-05, 893-66-02-26.**

**განცხადება**

იყიდება ჭურჭლის სარეცხი მანქანა „სიმენსი, ლედი-45“, ფასი 300 ლარი. ტელ. 858 12 88 60.

აუდიტი 34-84-83, 899 49-19-97

◉ კადრი



◉ ანეკდოტები

ვინც პარლამენტშია ნამყოფი, მას ცირკში არ გაეცინება...

* * *

ცუდ დღეში იყო ოსტაპ ბენდერი. მან მოქალაქეებისთვის ფულის წართმევის მხოლოდ 400 შედარებით წესიერი მეთოდი იცოდა. უკეთესი მდგომარეობა აქვს ჩვენს ხელისუფლებას. მეთოდიც ბევრად მეტია და წესიერებითაც არ გამოირჩევა.

* * *

იმიჯმეიკერთა სემინარზე პედაგოგი მსმენელს ეკითხება:



– ვთქვათ, თქვენ ლამაზი კაბა ჩაიცვით, მაგრამ სასურველ მამაკაცთან ურთიერთობა მაინც არ გამოგდით. რა უნდა შეცვალოთ თქვენს იმიჯში?

– კაბა უნდა გაიხადოს, – ისმის აუდიტორიიდან.

– ჰო, მაგრამ დასაწყისისთვის იქნებ ერთი ღილის შეხსნაც იყოს საკმარისი, – ამბობს პედაგოგი.

* * *

ქვეყნის მოდერნიზების ორწლიანი გეგმა.

2011 წელი. ჩინოვნიკები ებრძვიან ელიტარულ კორუფციას.

2012 წელი. სუტენიორები ებრძვიან პროსტიტუციას.

* * *

ჭკვიანმა დიასახლისმა იცის, რომ საოჯახო მეურნეობაში არაფერია იმ მამაკაცზე უკეთესი, ვინც თავის დანაშაულს გრძნობს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.